პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 ივლისი ოთხშაბათი
1971
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 160 (15070)

სესიის დარბაზიდან



სურათებზე: ზემოთ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დარბაზში; ქვემოთ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები სიღნაღის რაიონიდან — სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის მევენახე მ. მამაიაშვილი (მარცხნივ) და სოფელ ნუკრიანის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე პ. მაზიაშვილი.

ხალხის ინტერესებისათვის

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დასკვნითი სხდომა

13 ივლისს დილის ათ საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ **ლ. ა. ხოზრევანიძის** თავმჯდომარეობით დაიწყო საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მესამე, დასკვნითი სხდომა.

დეპუტატები კვლავ განიხილავდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **გ. დ. ჯავახიშვილის** მოხსენებას „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა“.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ზ. დ. ჯიბლაძე** (ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ქუთაისი), **ა. ვ. გლუხარევი** (მშენებელთა საარჩევნო ოლქი, ქალაქი რუსთავი), **ვ. ზ. თოხაძე** (იყალთოს საარჩევნო ოლქი, თელავის რაიონი), **ვ. ა. კოჩოიანი** (ალასტანის საარჩევნო ოლქი, ახალქალაქის რაიონი), **შ. ი. ბასილაშვილი** (საქალაქო საარჩევნო ოლქი, გურჯაანის რაიონი), **თ. ნ. ახალაძე** (ნასაკირალის საარჩევნო ოლქი, მახარაძის რაიონი), **ა. თ. გუმბათოვი** (ამამლოს საარჩევნო ოლქი, დმანისის რაიონი), **გ. ე. კვაშილავა** (ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ფოთი), **მ. ფ. ჩხეიძე** (ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ქუთაისი), **ა. ე. ჭითანავა** (დარჩელის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი).

წამოაყენეს წინადადება, რომ შეწყდეს კამათი.

გამოცხადდა შესვენება.

შესვენების შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ბ. აბაშიძე**.

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მოხსენების გამო საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **გ. დ. ჯავახიშვილმა**.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

სესია შეუდგა დღის წესრიგის მომდევნო საკითხის განხილვას.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **პ. მ. ჟღენტმა**.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები: **ი. გ. რთველიაშვილი** (ქვემო ქალის საარჩევნო ოლქი, კასპის რაიონი), **შ. ლ. ჩავჩიძე** (მაღლაკის საარჩევნო ოლქი, წყალტუბოს რაიონი), **ი. ნ. ელოშვილი** (თეთრი წყაროს საარჩევნო ოლქი, თეთრი წყაროს რაიონი), **მ. ა. მეზვრიშვილი** (ნაფარეულის საარჩევნო ოლქი, თელავის რაიონი).

ყველანი ისინი ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ ამ საკითხს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. მთელი მიწების სწორი, უფრო მიზანშეწონილი გამოყენება, მათი დაცვა, ნიადაგთა ნაყოფიერების ყოველნაირად გადიდება ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ამოცანაა. სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტი ითვალისწინებს რესპუბლიკის მიწის სიმდიდრის ექსპლოატაციის უფრო მკაცრი წესების დამყარებას. მიწა წარმოების მთავარი საშუალებაა სოფლის მეურნეობაში. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა კავშირში ყველაზე მცირემიწიანი რესპუბლიკის პირობებში მიწის ფართობების უნარიანად გამოყენების, მეურნეობის ეკონომიურად ეფექტიანი გაძღოლის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მიწების მაღალპროდუქტიული გამოყენებისათვის კი, როგორც დეპუტატები აღნიშნავდნენ, დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვას. კოდექსის პროექტი ყველა მიწით მოსარგებლეს ავალებს არ დაუშვან დაჭაობება, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია, მიწების გაჭუჭყიანება და სხვა პროცესები, რომლებიც აუარესებენ ნიადაგს.

საქართველოს სსრ ახალი მიწის კოდექსის პროექტი ითვალისწინებს მიწათსარგებლობის ძირეული საკითხების შემდგომ მოგვარებას, მკაცრი წესრიგის შემოღებას არასასოფლოსამეურნეო საჭიროებებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფისას.

დეპუტატების მიერ შეტანილი წინადადებანი და დამატებანი უეჭველია ხელს შეუწყობენ მიწათსარგებლობის, რესპუბლიკის მიწის სიმდიდრეთა ექსპლოატაციის სამართლებრივი საკითხების უფრო ზუსტად გადაჭრას.

შემოდის წინადადება — შეწყდეს კამათი.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი „საქართველოს სსრ მიწის კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

თვითეულმა საკითხმა, რომელსაც დეპუტატები იხილავდნენ, თვითეულმა დადგენილებამ ასახა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მისწრაფება ერთგულად ემსახუროს ხალხს, გაამართლოს ამომრჩეველთა ნდობა, მიაღწიოს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის კიდევ უფრო აყვავებას. საქმიანი და პრინციპული ატმოსფერო, რომელიც ახასიათებს სესიის მთელ მუშაობას, არის კომუნისტური მშენებლობის რთული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საწინდარი.

ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ახალმა შემადგენლობამ ნაყოფიერად დაიწყო მუშაობა. სესიაზე მიღებული კანონები და დადგენილებანი ხელს შეუწყობენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას, კომუნიზმის ახალ გამარჯვებებს.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია დახურულად ცხადდება. (საქდესი).

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელები, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ახორციელებენ პარტიის XXIV ყრილობის წინასწარდასახულობებს, — იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა ვადამდე, 26 ივნისისათვის შეასრულა. გეგმის გადამეტებით, ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესასრულებლად ნაკისრ ვალდებულებათა ანგარიშში, წარმოებულია მილიონობით მანეთის პროდუქცია, მათ შორის 16 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი, 47,4 ათასი ტონა ქვანახშირი, 11 ათასი ტონა ნაგლინი, 4,9 ათასი ტონა თუჯი, 5,9 ათასი ტონა ფოლადი, 48 ლითონსაჭრელი ჩარხი და სხვა.

შრომის ნაყოფიერება, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გადიდებულია 5,9 პროცენტით. წარმატებით სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა, მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, ეთერზეთოვანთა და სხვათა წარმოების გეგმები. გადაჭარბებით სრულდება აგრეთვე ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის, ხორცის, რძისა და კვერცხის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ასამაღლებლად. მოსახლეობის ფულადი შემოსავალი 5 თვის განმავლობაში გაიზარდა 10,5 პროცენტით, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 101,2 პროცენტით. ათვისებულია მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამშენებლო ობიექტებისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებანი.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და განსაკუთრებით კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის საწარმოთა 11 პროცენტმა ვერ შეასრულა რეალიზაციის 6 თვის გეგმა და სახელმწიფოს დააკლო 16 მილიონი მანეთის პროდუქცია (თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკა, ბათუმის სამკერვალო-საწარმოო გაერთიანება, სოხუმის ქიმიური ქარხანა და სხვ.).

ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი.

მეცხოველეობის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის საქმეში რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონს აქვს ნაკლოვანებები.

გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მშენებლობა. ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 90 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 98 პროცენტით. შესრულებული არ არის კაპიტალდაბანდებათა და ძირითადი ფონდების სამოქმედოდ გადაცემის გეგმები საბინაო მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გასაშვებ ობიექტზე (რუსთავის ქიმიური კომბინატი და ქიმიური ბოჭკოს ქარხანა, წულუკიძის სინთეზურ ნაკეთობათა ქარხანა, ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირის შახტები, ზოგიერთი ჩაის ფაბრიკა და სხვ.).

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას ვერ უთმობენ ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საცალო ვაჭრობის ქსელის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს და ამავე დროს ქმედით დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ სამშენებლო ორგანიზაციებს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სავადმყოფოების და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაში.

ადგილობრივი საბჭოები, რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები არ ატარებენ სათანადო ღონისძიებებს საზოგადოებრივ წარმოებაში შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენებისა და მუშახელის დამაგრებისათვის.

სახალხო მეურნეობის გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში ჯერ კიდევ აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ჩატარებული მუშაობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულება: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სერიოზული ყურადღება მიაქციოს მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას, სოციალისტური წარმოების განვითარების ტემპებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარებას, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფართოდ დანერგვას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რესპუბლიკის რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განიხილონ სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების მიმდინარეობა და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ამასთან მეტი ყურადღება დაუთმონ:

ა) სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მოცულობის გადიდებას, მისი ასორტიმენტის გაფართოებას, ხარისხის გაუმჯობესებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, საწარმოთა და მშენებლობების მუშაკთათვის სათანადო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას;

ბ) საბინაო, სასკოლო, ჯანმრთელობის დაცვის, საბავშვო ბაღების, ბაგების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სავაჭრო ქსელის ობიექტების მშენებლობას, საექსპლოატაციოდ გადაცემას დაწესებულ ვადებში;

გ) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების შესაბამისად — მეცხოველეობის განვითარებას, საკვები ბაზის განმტკიცებისათვის არსებულ შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას, ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაწესებულ აგროვადებში წარმოებას და დამზადების გეგმების შესრულებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიებანი 1971 წლის საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისათვის, როგორც მთლიანად რესპუბლიკის მასშტაბით, ისე ცალკეული რაიონებისა და ქალაქების მიხედვით. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ვაჭრობის წესების დაცვას: რეაგირების გარეშე არ დატოვონ ზომა-წონაში მოტყუებისა და მომხმარებელთა უხეში მომსახურების არც ერთი ფაქტი.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს უზრუნველყონ მიმდინარე წლის მშენებლობის გეგმების შესრულება და ყველა გასაშვები ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა დადგენილ ვადებში.

6 მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ძირითად უფლებათა და მოვალეობათა შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 19 მარტის ბრძანებულებების შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააძლიერონ პასუხისმგებლობა და მეტი ინიციატივა გამოიჩინონ საგეგმო-საფინანსო საქმიანობის, სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, მშენებლობის განვითარების, მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე დეპუტატების, მუდმივი კომისიების, აქტივის მონაწილეობით განიხილონ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოების დეპუტატთა ავანგარდულ როლს საწარმოთა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების წინაშე მდგარ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში.

• • •

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, სამინისტროები, უწყებები, რესპუბლიკის მშრომელები ყველა ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ უზრუნველყონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებისა და აღებულ ვალდებულებათა ვადამდე შესრულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 13 ივლისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მიწის კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ იქნას 1971 წლის 1 ნოემბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და საქართველოს სსრ კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ კოდექსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 13 ივლისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ მთავრობის წევრთა გათავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1970 წლის 30 დეკემბრისა — „ამხ. მ. ზ. ლვინჯილიას საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად დანიშვნისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი გათავისუფლების შესახებ“;

1970 წლის 30 დეკემბრისა — „ამხ. ი. გ. რთველიაშვილის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1971 წლის 15 თებერვლისა — „ამხ. ვ. ი. ვადაჭკორიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნისა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი გათავისუფლების შესახებ“;

1971 წლის 15 თებერვლისა — „ამხ. ა. ვ. ხუროძის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად დანიშვნისა და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი გათავისუფლების შესახებ“;

1971 წლის 15 თებერვლისა — „ამხ. გ. ა. დუჩიძის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ“;

1971 წლის 15 თებერვლისა — „ამხ. შ. მ. თათარაშვილის საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1971 წლის 15 თებერვლისა — „ამხ. ი. ა. ხარატიშვილის საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1971 წლის 30 აპრილისა — „ამხ. ზ. გ. ახვლედიანის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ“;

1971 წლის 30 აპრილისა — „ამხ. გ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1971 წლის 13 ივლისი.

სტუმრად მონგოლ არატებთან

ულან-ბატორი, 13 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ესტუმრა მონგოლ არატებს. სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება „სუხე-ბატორის გზის“ ცენტრალურ აიმაკში მისი წევრები გულითადად მიესალმნენ სტუმრებს.

საბჭოთა მეგობრებთან ერთად აქ იყვნენ მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ჟაგვარალი.

გაიმართა მეგობრული საუბარი არატებთან, გაერთიანებისა და აიმაკის ხელმძღვანელებთან ა. ნ. კოსიგინმა გულითადი მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის და მონგოლ მეგობრებს უსურვა დიდი წარმატებანი იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებიც მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობამ დასახა.

ახალი შრომითი წარმატებებისაკენ!

დონეცკის ოლქს გადაეცა მეორე ლენინის ორდენი

დონეცკი, 12 ივლისი. სახალხო მეურნეობის და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის დარგების განვითარების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დონეცკის ოლქი დაჯილდოვდა მეორე ლენინის ორდენით.

მაღალი ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც გაიმართა დონეცკის ოპერისა და ბალეტის თეატრში. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს პ. ე. შელესტს, რომელიც აქ ჩამოვიდა მთავრობის ჯილდოს გადასაცემად.

დონეცკის ოლქში ყოფნისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. პ. ე. შელესტმა დაათვალიერა არტემოვსკის რაიონის 1 მაისის სახელობის საბჭოთა მეურნეობის, შევჩენკოს სახელობისა და ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობების მინდვრები. რაიონის ხელმძღვანელებთან, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან საუბარში მან გამოიკითხა, თუ როგორ მოემზადნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოსავლის აღებისათვის, უზრუნველყოფილი არიან თუ არა საჭირო ტექნიკით.

სამშობლოს ჯილდოები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში გულთბილ და გულითად ვითარებაში გადასცეს სსრ კავშირის ორდენები და მედლები „საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებსა და სპეციალისტებს, კოოპერაციული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შემსყიდველ და გადამმუშავებელ ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაკებს. მთავრობის მაღალი ჯილდოები მათ მიიღეს წარმატებებისათვის, რომლებიც მოიპოვეს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ** წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **გ. ძოწენიძემ** გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძის მეუღლეს **ნ. ლესელიძეს** გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში ჯარების უნარიანი ხელმძღვანელობისა და ამასთან გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ. სიგელის გადაცემისას გ. ძოწენიძემ აღნიშნა, რომ ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს სახელოვან მეომარს, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ლენინის ორდენები მიიღეს ცეკავშირის თბილისის სატრანსპორტო-საექსპლოატაციო კანტორის შოფერმა **ვ. ივანოვმა** და თბილისის ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და თეთრეულის სარეცხი ფაბრიკის მუშაკმა **რ. მელაშვილმა**.

შრომის წითელი დროშის ორდენები მიიღეს ცეკავშირის ავტომექანიკური ქარხნის მღებავმა **გ. დავითურმა**, ავეჯის ინდივიდუალური შეკვეთის ფაბრიკის დურგალმა **ხ. დალაქიშვილმა**, „მონტაჟთერმონაწარმის“ თბილისის სამშენებლო სამმართველოს ხურომ **გ. თედელურმა**, ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვისა და შეკეთების № 1 ფაბრიკის მკერავმა **ნ. შუბლაძემ** და სხვებმა.

„საპატიო ნიშნის“ ორდენები მიიღეს კეთილი მომსახურების ბიუროს „თბილექსპრესის“ გამგემ **ვ. ღლონტმა**, ცეკავშირის სამშენებლო ტრესტის ელექტრომემონტაჟემ **გ. გოგოლაძემ**, „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის თბილისის სამონტაჟო სამმართველოს ელექტროშემდუღებელმა **ხ. კაზარიანცმა** და სხვებმა.

11 კაცმა მიიღო მედალი „შრომითი მამაცობისათვის“. მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“ მიიღო 11 კაცმა.

დაჯილდოებულთა სახელით პარტიასა და მთავრობას მხურვალე მადლობა გადაუხადეს ცეკავშირის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის დირექტორმა **გ. მახარაშვილმა**, „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის თბილისის სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირმა **ვ. დოლიძემ**, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის „პირიმზეს“ ტანსაცმლის გამომჭრელმა **მ. ოზხარელმა**.

გ. ძოწენიძემ მიულოცა დაჯილდოებულთ, უსურვა ჯანმრთელობა, ახალი წარმატებები შრომასა და პირად ცხოვრებაში. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ ვითარებაში იწყებს მუშაობას. ჩვენი ხალხი, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმული კომუნისტური პარტიის გარშემო, თავდადებით შრომობს ახალი, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის დავალებათა წარმატებითა და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

თუ წინა მოწვევის უმაღლესმა საბჭომ თავისი მუშაობა ქართველი ხალხის დიდი ეროვნული ზეიმით, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის ზეიმით დააგვირგვინა, ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭო მოღვაწეობას იწყებს პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახული დიდი პროგრამის განხორციელებისათვის საყოველთაო ბრძოლის ვითარებაში. უმაღლესი საბჭოს პირველი სესია განიხილავს მეტად საგულისხმო საკითხს. ეს არის ახალი, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის პირველი წლის საგეგმო დავალებათა შესრულება.

რესპუბლიკის მთავრობას — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავის მოვალეობად მიაჩნია უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის პირველ სესიას, რომელიც ახალი ხუთწლედის პირველი წლის შუა მიჯნაზე შეიკრიბა, მოახსენოს, თუ როგორ სრულდებოდა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები ექვსი თვის განმავლობაში, აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც უნდა განვახორციელოთ გეგმების გადაჭარბებით და ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

რესპუბლიკის მრეწველობა ზრდის დაგეგმილი ტემპების შესაბამისად ვითარდებოდა. უფრო მეტიც, მან ვადაზე ადრე და გადაჭარბებით 104 პროცენტით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ნახევარი წლის გეგმა.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმა წარმატებით არის შესრულებული მრეწველობის თითქმის ყველა დარგის მიხედვით. ხუთწლედის პირველი წლის გეგმის შესასრულებლად ნაკისრ ვალდებულებათა ანგარიშში დამატებით წარმოებულია ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია. მათ შორის 15 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი, 20 ათასი ტონა ქვანახშირი, 8 ათასი ტონა ნავთი, 4,5 ათასი ტონა თუჯი, 4 ათასი ტონა ფოლადი, 4 ათასი ტონა ცემენტი, 245 ათასი გრძივი მეტრი აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, 125 ტონა ნატურალური ჩაი, დაახლოებით 6 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი, 9,7 მილიონი მანეთის ხორცისა და რძის პროდუქცია და სხვა.

პარტიის XXIV ყრილობამ, რომელმაც კურსი აიღო ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის საგრძნობი ამაღლებისა და ამ მიზნით ფართო მოხმარების საგნების წარმოების უპირატესი განვითარებისაკენ, კვლავ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქვეყნის ეკონომიური ძლიერების და ხალხის კეთილდღეობის ურყევი საფუძვლის — მძიმე მრეწველობის ყველა დარგის ინტენსიური განვითარების საკითხებს.

ამ მხრივ რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის დარგებმა და საწარმოებმა კარგი დასაბამი მისცეს მიმდინარე წლის გეგმის შესრულებას და მუშაობაში საკმაოდ მაღალ საწარმოო და ეკონომიურ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში კარგად იმუშავეს საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარმა საწარმოო სამმართველომ და „საქქვანახშირის" კომბინატმა, რომელთაც შეძლეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შეუფერხებელი მომარაგება ელექტროენერგიით, სათბობით და ამით განაპირობეს კიდეც ჩვენი სახალხო მეურნეობის წარმატებანი. პირველმა ელექტროენერგიის რეალიზაციის გეგმა 102 პროცენტით შეასრულა, მეორემ კი ქვანახშირის მოპოვებისა და რეალიზაციის ექვსი თვის გეგმა 103 პროცენტით გაანაღდა.

პროდუქციის რეალიზაციის ექვსი თვის გეგმები მოცულობის მხრივ და ამ გეგმების სხვა საწარმოო და ეკონომიური მაჩვენებლები გადაჭარბებით შეასრულეს შავი მეტალურგიის ძირითადმა დარგებმა და მათმა საწარმოებმა. მარგანეცის სასაქონლო მადნის საერთო რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 102,4 პროცენტით, ხოლო უმაღლესი ხარისხისა — 103,2 პროცენტით.

სერიოზული ორგანიზაციული და ტექნიკურ-ეკონომიური ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში კვლავ მკვიდრი ადგილი დაიჭირა ჩვენი მძიმე მრეწველობის ერთ-ერთმა უდიდესმა საწარმომ — რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, რომელიც ბოლო ორი წლის მანძილზე ძირითად საგეგმო დავალებებს სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო თავს ვერ ართმევდა. მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში ქარხანამ შეძლო მუშაობის გარდატეხა: შეასრულა გეგმის ყველა დავალება და გამოუშვა 1,5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. აღსანიშნავია გამოშვებული პროდუქციის ხარისხის საგრძნობი გაუმჯობესება, განსაკუთრებით ნაგლინი მილების ხარისხის მიახლოება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა დონემდე. 103 პროცენტით შეასრულა გეგმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, რომელმაც ამასთანავე დაიცვა პროდუქციის გამოშვების დამტკიცებული ნომენკლატურა.

გარკვეული აღმავლობა ახასიათებს რესპუბლიკის მანქანათმშენებელი და ხელსაწყოთმშენებელი დარგების საწარმოთა მუშაობას. ამ საწარმოებმა გეგმა შესაბამისად 103 და 104 პროცენტით შეასრულეს და გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაზარდეს გამოშვებული პროდუქციის მოცულობაც და ხარისხიც.

კვლავ მოწინავეთა რიგებში ჩადგა ჩვენი მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი საწარმო — კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა. მან გეგმა 103 პროცენტით გაანაღდა, პროდუქციის მოცულობის — წარმოება კი 10 პროცენტით გაზარდა. მიმდინარე წელს ათვისებულია და წარმოებაშია ჩაშვებული გამა სერიის ოთხი ახალი მაღალი სიზუსტის ჩარხი. ეს მიღწევები ქარხნის ახალი ხელმძღვანელობის და პარტიული კომიტეტის მიზანდასახული მუშაობის შედეგია. აქ შეძლეს მთელ რიგ ტექნიკური და ეკონომიური ხასიათის ღონისძიებათა განხორციელება, მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების ზრდას და ქარხნის კოლექტივის მატერიალური დაინტერესების გაზრდას გეგმების წარმატებით შესრულების მიზნით. მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს მუშაობაში ქუთაისის ავტოქარხნის კოლექტივმა, დიმიტროვის სახელობის ქარხანამ და ელექტროტექნიკური მრეწველობის დარგების ზოგიერთმა სხვა საწარმომ.

მისასალმებელია ის გარემოება, რომ მძიმე მრეწველობის დარგების ბევრმა საწარმომ ძირითადი პროდუქციის წარმოების მოცულობის გეგმების წარმატებით შესრულებასთან ერთად პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად, დიდი ყურადღება დაუთმო სახალხო მოხმარების საგნების წარმოებას ამ მიმართულებით გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს, ეფექტურად გამოიყენეს წარმოების ძირითადი პროდუქციის ნედლეულის ნარჩენები და აითვისეს სახალხო მოხმარების მეტად საჭირო საგნების ფართო ნომენკლატურა.

კარგად დაამთავრა მიმდინარე წლის ექვსი თვე საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების თითქმის ყველა სამინისტრომ და უწყებამ. მე განსაკუთრებით მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება კვების, ხორცისა და რძის, მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებისა და სხვა უწყებათა საწარმოების მუშაობას, რომლებსაც პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უკვე შეაქვთ თავიანთი წვლილი ხალხის ცხოვრების მატერიალურ-კულტურული დონის გაუმჯობესების საქმეში.

კარგად იმუშავა კვების მრეწველობის სამინისტრომ, რომელმაც ყველა სახის ძირითადი პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და სარეალიზაციოდ გადასცა 29 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. წარმატებით, 104 პროცენტით შეასრულეს გეგმა ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ — 102 პროცენტით, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ — 116 პროცენტით, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ — 102 პროცენტით და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, რომელმაც გასულ წელთან შედარებით საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა მთლიანად 17,2 პროცენტით გაზარდა, მათ შორის ქალაქად — 14,8, ხოლო სოფლად — 26,3 პროცენტით.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სამინისტროებისა და უწყებების, მათი საწარმოების მიერ გეგმების შესრულებაში მიღწეული წარმატებები დიდად განაპირობა იმ ღონისძიებებმა, რაც შემუშავებული და განხორციელებული იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მიერ მრეწველობის ცალკეული დარგების სპეციალიზაციის, საწარმოთა მართვის სისტემების ორგანიზაციული, სტრუქტურული სრულყოფისა და გაუმჯობესების მიმართულებით. აგრეთვე ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მეცნიერების ახალი მიღწევათა წარმოების სხვადასხვა დარგში დანერგვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისა და სხვა ტექნიკური და ეკონომიური ღონისძიებებით.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 6 პროცენტით გაიზარდა და ამის ხარჯზე მიღებულია პროდუქციის მატების 84 პროცენტი. ბევრი კარგი შედეგია მიღწეული პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეშიც. რამაც განაპირობა წარმოების მოგებისა და რენტაბელობის საერთო მაჩვენებლების საგრძნობი გაუმჯობესება.

მუშაობის განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები აქვთ დაგეგმვისა და სტიმულირების ახალ მეთოდებზე გადასულ საწარმოებს, რომლებმაც უზრუნველყვეს წარმოების განვითარების დაგეგმილი მაჩვენებლების შესრულება, შექმნეს წარმოების განვითარებისა და მატერიალური სტიმულირების ფონდები და განაპირობეს საწარმოო კოლექტივების დაინტერესების ამაღლება ძირითადი საწარმოო პროგრამის შესრულების საქმეში.

რეალიზაციის გეგმების წარმატებით შესრულებასთან ერთად განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ განახლდა გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და ნომენკლატურა, გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და გარეგნული გაფორმება.

ამხანაგო დეპუტატებო! როგორც ხედავთ, წინასწარი მონაცემები მიმდინარე 1971 წლის რეალიზაციის გეგმების შესრულების მხრივ იმას მოწმობს, რომ რესპუბლიკის მრეწველობა, მისი ცალკეული დარგები, ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული განვითარების ტემპების შესაბამისად, აღმავლობის გზით მიდიოდა, უფრო მეტიც, მრეწველობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარგი უფრო მაღალი ტემპებით იზრდებოდა, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

მაგრამ ჩვენი მრეწველობის განვითარების ამ დადებით ტენდენციებთან ერთად არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ სერიოზულ ხარვეზებს, რაც ჯერ კიდევ თან სდევს ჩვენი მრეწველობის განვითარებას, მის ცალკეულ დარგებს, არ შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ იმ ნაკლოვანებებზე, ჯერ კიდევ რომ არის ჩვენი მრეწველობის ძირითადი დარგებისა და მსხვილი საწარმოების მუშაობაში.

მოწინავე საწარმოთა გვერდით, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ არის ბევრი ისეთი საწარმო, რომლებიც ვერ ასრულებენ პროდუქციის რეალიზაციის გეგმებს და სახალხო მეურნეობას დიდძალ პროდუქციას აკლებენ, მართალია, მათი რიცხვი გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაშიც 117 საწარმომ, ანუ მათი საერთო რიცხვის 11 პროცენტმა მაინც ვერ შეასრულა რეალიზაციის ექვსი თვის დადგენილი გეგმა და სახელმწიფოს სახალხო მეურნეობისათვის მეტად საჭირო 16 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო. მათ შორის, სინთეზური ამიაკი, მინერალური სასუქები, კაპროლაქტამი, სინთეზური ბოჭკო, შალის ნართი, მსუბუქი და კვების მრეწველობის ზოგიერთი პროდუქცია და სხვა.

განსაკუთრებით მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ქიმიური მრეწველობის დარგის და პირველ რიგში რუსთავის ქიმიური კომბინატის მუშაობის ზოგიერთ საკითხზე.

თუ ქიმიურმა მრეწველობამ საერთოდ და კერძოდ ქუთაისის ლითოპონის, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ და ზოგიერთმა სხვამ მუშაობაში გარკვეულ რიტმულობას, სტაბილურობას მიაღწია, სამაგიეროდ რუსთავის ქიმიური კომბინატი უკვე საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დიდ სიძნელეებს განიცდის და ვერ ასრულებს დამტკიცებულ გეგმებს. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოებისა და სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს დახმარების შედეგად კომბინატმა უკანასკნელ ხანს თითქოს ერთგვარად გააუმჯობესა მუშაობა, ძირითადად აითვისა წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, სხვადასხვა მიზეზით მან ჯერ კიდევ მაინც ვერ მოახერხა მუშაობის აწყობა. ეს პირველ რიგში უნდა აიხსნას ახალი სიმძლავრეების, ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესისა და აპარატის ათვისების საქმეში ჩამორჩენით. რუსთავის ქიმიურმა კომბინატმა ამ ნაკლოვანებების გამო ვერ უზრუნველყო ნატურალურ გამოხატულებაში მიმდინარე წლის ექვსი თვის პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალებათა შესრულება და სახელმწიფოს 29,2 ათასი ტონა მინერალური სასუქი დააკლო, რაც ესოდენ ესაჭიროება სოფლის მეურნეობას.

რუსთავის ქიმიურ კომბინატს კვლავაც დასჭირდება ქიმიური მრეწველობის სამინისტროსა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დიდი დახმარება. მაგრამ დროა თვით კომბინატის კოლექტივმა და მისმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ დაძლიონ არსებული ხანგრძლივი ჩამორჩენა.

თუმცა შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ კვლავ მაინც არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სამშენ მასალათა მრეწველობის დარგში.

როგორც მოგეხსენებათ, მრეწველობის ამ დარგის განვითარებაზე დიდად არის დამოკიდებული კაპიტალური მშენებლობის წარმატება. ამიტომ უკანასკნელ ხანს, კაპიტალური მშენებლობის მზარდი მოცულობის შესაბამისად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სამშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისა და გაფართოებისათვის. ორგანიზებულია მსხვილზომიანი სამშენებლო კონსტრუქციების გამოშვება. გაფართოვდა ცემენტის წარმოება, მკვეთრად გაიზარდა ასაკრეფი რკინაბეტონისა და ეფექტური საკედლე მასალების გამოშვება, შეიქმნა ინერტული მასალების ახალი კომპლექსური კარიერები — საწარმოები და სხვ. მაგრამ, მიუხედავად, გატარებული ღონისძიებებისა, მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა სამშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ მაინც მხოლოდ 97 პროცენტით შეასრულა. გეგმის შესრულებაში საგრძნობი ჩამორჩენა აქვთ რუსთავის, ცხაკაიას სამშენ მასალათა კომბინატებს და ამ პროფილის ზოგიერთ სხვა ქარხანას. არადამაკმაყოფილებლად მიდის გარდაბნის მეყაო-რუბეროიდის ახალი ქარხნის სიმძლავრეთა ათვისება და სხვ.

სამშენ მასალათა წარმოების საგეგმო დავალებები ვერ შეასრულეს აგრეთვე თვით მშენებლობის სამინისტროს ამ დარგის საწარმოებმა და ამით სამინისტრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს.

მე უკვე აღვნიშნე, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და მისი ძირითადი საწარმოები პროდუქციის რეალიზაციის გეგმას მოცულობის მხრივ მთლიანად წარმატებით ასრულებენ, მაგრამ ამ სამინისტროს სისტემის ათმა საწარმომ მაინც ვერ შეძლო საგეგმო დავალებათა შესრულება მოცულობითა და ასორტიმენტით და სახელმწიფოს 3 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების მეტად საჭირო პროდუქცია დააკლო.

უნდა აღინიშნოს, რომ მსუბუქი მრეწველობის დარგების საწარმოთა ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საწარმოო სიმძლავრეთა და ტექნოლოგიური დანადგარების დაბალი გამოყენება, ამ დანადგარების დიდი მოცდენა. აი, მაგალითად, ბამბის დართვის დარგში მანქანა-დანადგართა მოცდენამ თითქმის 13 პროცენტს მიაღწია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4,5 პროცენტისა. ასეთივე მდგომარეობაა ბამბეულის ქსოვაში, შალის დართვაში და მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთ სხვა ძირითად დარგში.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მსუბუქმა მრეწველობამ როგორც მოცულობითა და ასორტიმენტით, ისე პროდუქციის ხარისხით უკეთ დააკმაყოფილოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება. მრეწველობის ამ დარგს, რომელიც სახალხო მოხმარების ფართო საქონელს აწარმოებს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მეტი ყურადღება და დახმარება სჭირდება. უნდა განხორციელდეს უფრო ფართო ღონისძიებები ფიზიკურად და მორალურად ამორტიზებული ტექნოლოგიური დანადგარების შესაცვლელად ახალი მოწყობილობით, უზრუნველყოფილი იქნას ნედლეულით საწარმოთა მომარაგება და სხვა.

ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ხარვეზი და ნაკლოვანებაა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსა და მის ძირითად საწარმოთა მუშაობაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა ვერ შეასრულეს ზოგიერთი საწარმოს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები. საყოფაცხოვრებო საქონლის გამოშვების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 91,2 პროცენტით. სავაჭრო ორგანიზაციებს ამ პერიოდში რეალიზაციისათვის დააკლდა 1,25 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი.

ნება მომეცით თქვენი ყურადღება შევაჩერო მრეწველობის მუშაობის ზოგიერთ ნაკლოვან მხარეზე, რაც დამახასიათებელია ყველა დარგისათვის, განურჩევლად სპეციალიზაციისა, და ამდენად დიდად საჭირბოროტოა.

უნდა ითქვას, რომ მრეწველობის ზოგიერთ დარგში და მსხვილ საწარმოში დამყარდა არანორმალური თანაფარდობა შრომის ნაყოფიერებასა და საშუალო ხელფასს შორის. საშუალო ხელფასის ზრდა წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერებას, რაც მძიმე ტვირთად აწვება წარმოებას, მის რენტაბელობას, აუარესებს წარმოების ეკონომიურ მაჩვენებლებს. ასეთი მდგომარეობაა კერძოდ სამშენ მასალათა მრეწველობაში, სადაც შრომის ნაყოფიერება მთლიანად 4 პროცენტით გაიზარდა, საშუალო ხელფასი კი 8 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება სოციალისტური მრეწველობის განვითარების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. სწორედ შრომის ნაყოფიერების ზრდამ უნდა განაპირობოს მიმდინარე ხუთწლედში წარმოების მოცულობის ძირითადი გაფართოება. ამიტომ შრომის ნაყოფიერების საკითხებს, შრომის ნაყოფიერებასა და საშუალო ხელფასს შორის ნორმალური თანაფარდობის საკითხებს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გამოყენება, ახალი ტექნოლოგიის, ავტომატიზაციისა და გამოთვლითი ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა.

როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი მრეწველობის ყველა დარგში ამ ბოლო დროს ამ მიმართულებით ბევრი ღონისძიება განხორციელდა, რამაც უეჭველად განაპირობა მთლიანად მრეწველობის საკმაოდ მაღალი საწარმოო და ეკონომიური მაჩვენებლები. მაგრამ ეს ღონისძიებები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების სასურველ ტემპებს. მეცნიერების მიღწევათა და ახალი ტექნოლოგიისა და ტექნიკის დანერგვის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. გვხვდება ამ დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიების ერთგვარი შეუფასებლობა. შეუწყნარებელია თუნდაც ის გარემოება, რომ ახალი ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის დამტკიცებული სახელმწიფო გეგმები წლითიწლობით სრული მოცულობით არ სრულდება და მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი განუხორციელებელი რჩება. წელსაც 1971 წლის პირველი კვარტალის გეგმა ამ მიმართულებით მხოლოდ 80 პროცენტით არის შესრულებული. ეს მდგომარეობა დაუშვებელია. ამ საქმის მიმართ საჭიროა სამინისტროებისა და უწყებების, მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელების მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, წამყვან სამეცნიერო დაწესებულებათა და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების უფრო ღრმა, უფრო მიზანდასახული ყურადღება და მუშაობა. სამინისტროებისა და უწყებების, წარმოებათა ხელმძღვანელებმა კარგად უნდა შეიგნონ, რომ მეცნიერების ახალ მიღწევათა, ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და ახალი ტექნიკის საშუალებათა წარმოებაში დანერგვა, საწარმოო გეგმების ძირითად დავალებათა შესრულებასთან ერთად, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და რომ ამ საქმის შეუფასებლობამ შეიძლება მიგვიყვანოს მრეწველობის მთელი დარგების ხანგრძლივ და აუნაზღაურებელ ჩამორჩენამდე.

მუშახელის ნაკლებობის გამო დიდ სიძნელეებს განიცდის მრეწველობის ზოგიერთი და, კერძოდ, ქიმიური, მსუბუქი მრეწველობის, სამშენ მასალათა წარმოების დარგები. ამიტომ მრეწველობის ამ ცალკეული დარგების მუშახელით და განსაკუთრებით კი კვალიფიციური მუშახელით უზრუნველყოფის, აგრეთვე მისი დენადობის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

მრეწველობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როდესაც დღის წესრიგში დგას საკითხი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევათა რაც შეიძლება ფართოდ გამოყენებისა, ახალი რთული ავტომატიზებული სისტემების, გამოთვლითი და პროგრამირების ურთულეს მოწყობილობათა წარმოებაში დანერგვისა, განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას და ამ კადრებით წარმოების დაკომპლექტებას.

ამ მხრივ დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა დგას პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე, რომელმაც უნდა გააფართოოს კვალიფიციური მუშახელის მომზადება ჩვენი მრეწველობისათვის, განსაკუთრებით ტექნიკის ახალ დარგებში და, რაც მთავარია, გაზარდოს იმ პროფტექნიკური სასწავლებლების რაოდენობა, რომელიც ახალგაზრდობას საშუალო განათლებას აძლევენ.

შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაო დროის შემჭიდროებას, მის მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენებას. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ სამუშაო დროის გაცდენას ჯერ კიდევ შეუწყნარებლად დიდი მასშტაბები აქვს.

შემოწმებამ ცხადყო, რომ სამუშაო დროის გაცდენა არასაპატიო მიზეზების გამო მრეწველობაში თითო მუშაზე 5,7 დღეს, ხოლო მშენებლობაში 1,7 დღეს შეადგენს. სამუშაო დროის გაცდენა გაპირობებულია მთელი რიგი მიზეზებით, როგორიც არის საქალაქო ტრანსპორტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, მოსახლეობის მომსახურების სხვადასხვა დაწესებულებათა მუშაობის დროის მოუწესრიგებლობა და სხვა, მაგრამ მთავარი და ძირითადი მიზეზი მაინც შრომის დაბალი დისციპლინა გახლავთ. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ სპეციალურად განიხილა ეს საკითხი და მიიღო დადგენილება წარმოებაში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების შესახებ და დასახა ღონისძიებანი შრომის დისციპლინის განმტკიცების, სამუშაო დროის უმიზეზოდ გაცდენის თავიდან აცილებისა და სამუშაო დროის შემჭიდროების მიზნით.

დაწესდა აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო და მოსახლეობის მომსახურების სხვა დაწესებულებათა მუშაობის ისეთი რეჟიმი, რომელიც დროის მიხედვით ხელმისაწვდომს გახდის მათს მომსახურებას მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი მასებისათვის. მიღებულ იქნა ღონისძიებანი ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, დაინიშნა ახალი მარშრუტები, გადიდდა მანქანების რაოდენობა.

სახალხო მეურნეობის და განსაკუთრებით მრეწველობის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა მუშახელის ორგანიზებული შეგროვება. ამიტომ ამ საკითხებს ადგილობრივმა რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მუშახელის ორგანიზებული შეგროვების გეგმების შესრულების საქმეში ჩამორჩებიან ბოგდანოვკის, მესტიის, ვანის, თიანეთის, აბაშის, წალკის, დმანისის, რაიონები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აქ არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ, რომ ამ პირობებში ზოგიერთ რაიონში ვხვდებით მოსახლეობის დიდი ნაწილის სეზონურ მიგრაციას. ასეა წალკის, დმანისის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ახალციხისა და ასპინძის რაიონებში, საიდანაც სამუშაოდ რესპუბლიკის გარეთ ძირითადად კვალიფიციური მუშები გადიან. საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა და განსაკუთრებით შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა გადამჭრელი ზომები უნდა გაატარონ, რომ მოწესრიგდეს თავისუფალი მუშახელის ადგილზე დასაქმება და შემცირებულ იქნას აღნიშნული მიგრაციული პროცესები.

ამხანაგო დეპუტატებო! სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციის ზრდა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია, რადგან ამ დარგის წინსვლა საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, მათი კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის მნიშვნელოვანი საწინდარია. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს ეს კარგად აქვთ შეგნებული და ძალღონეს არ იშურებენ, რათა პარტიის XXIV ყრილობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინა პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად მკვეთრად განავითარონ სოფლის მეურნეობის წარმოება.

განუხრელად, წლიდან წლამდე იზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და სახელმწიფო შესყიდვის მოცულობა. თქვენ იცით, რომ 1970 წელს სოფლის მეურნეობის წარმოებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს განმეორებით მიეკუთვნათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირების სრულიად საკავშირო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, სოფლის მეურნეობის მუშაკების თავდადებულ შრომას წელსაც ფუჭად არ ჩაუვლია და, თუმცა საბოლოო პროგნოზი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მოსავალს წელსაც ძალიან კარგი პირი უჩანს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ შემჭიდროებულ აგროტექნიკურ ვადებში განხორციელდა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. გადაჭარბებით — 100,9 პროცენტით შესრულდა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა, მათ შორის მარცვლეულისა — 103 პროცენტით, სიმინდისა — 104 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 102 პროცენტით, ეთერზეთოვანი კულტურებისა — 108 პროცენტით და ა. შ. პირველი ივლისისათვის გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გაშენებულია 800 ჰექტარით მეტი მრავალწლიანი ნარგავები. დათესილია 5000 ჰექტარით მეტი მრავალწლიანი ბალახები, ვიდრე 1970 წელს. აგროტექნიკური ღონისძიებების შესაბამისად დამუშავებულია სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ძირითადი ფართობები.

წინასწარი მონაცემებით მთელ რიგ რაიონებში, სადაც თავთავიანი კულტურების აღება უკვე დაიწყო, ამ კულტურების უკეთესი მოსავალია, ვიდრე შარშან. მოსავლის აღების პირველი მაჩვენებლები კარგი აქვთ მარნეულის, ახმეტის, გარდაბნის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, სიღნაღის, და სხვა რაიონებში. თავთავიანი კულტურების მდგომარეობა უფლებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ წელს ამ კულტურების საშუალო მოსავალი უფრო უხვი იქნება, ვიდრე შარშან.

თუმცა მიმდინარე წელს დაგვიანებული გაზაფხული იდგა, მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა კვლავ შრომის მაღალი მაგალითები გვიჩვენეს და კარგ შედეგებსაც მიაღწიეს. მართალია, შარშან ამ პერიოდთან შედარებით 13 ათასი ტონით მეტი მწვანე ფოთოლი იყო მოკრეფილი, ჩაის პლანტაციების მდგომარეობა წელსაც იმის გარანტიას იძლევა, რომ აღნიშნული ჩამორჩენა ანაზღაურდება და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმები გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

გაზაფხულზე ხილის ყვავილობა მეტად არახელსაყრელ, ტემპერატურის დიდი ცვალებადობისა და ხშირი ნალექის პირობებში მიმდინარეობდა. ამან ხელი შეუწყო ხილის შემოსვლის დაგვიანებას და გავლენა მოახდინა ხილის მოსავალზე მთლიანად. პროგნოზის მიხედვით მიმდინარე წელს ხილის მოსავლიანობა შარშანდელთან შედარებით რამდენადმე ნაკლები იქნება, მაგრამ მოსალოდნელი მოსავალი მაინც ისეთია, რომ თესლოვანი და კურკოვანი ხილის სახელმწიფო შესყიდვის გეგმები წელსაც წარმატებით იქნება შესრულებული. ჩვენი ამოცანა ახლა ის არის, რომ ხილის მოსავალი უდანაკარგოდ ავიღოთ, უზრუნველვყოთ მისი დროული დახარისხება, შეფუთვა-გადამუშავება, შენახვა და მომხმარებლისათვის მიწოდება.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გარეული ხილის იმ დიდი რესურსების ათვისებას, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, რადგან გარეული ხილი თავისი საკვები თვისებებით არ ჩამოუვარდება სხვა ხილს და მისი გამოყენების გაფართოება ხილის წარმოების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვი იქნება.

გარკვეული ღონისძიებების შედეგად უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბოსტნეული კულტურების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის მოცულობა. წელსაც ბოსტნეულის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ფართობები სათანადოდ მოვლილი და დამუშავებულია, რაც იმის საწინდარია, რომ გადაჭარბებით იქნება შესრულებული ამ კულტურების წარმოებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები. 1971 წელს მთლიანად უნდა დამზადდეს 160 ათასი ტონა ბოსტნეული. დღეისათვის უკვე მიეყიდა სახელმწიფოს 19 ათასი ტონა, მეტი, ვიდრე შარშან ამ პერიოდში. ბოსტნეულის კარგ მოსავალს იღებენ გარდაბნის, მარნეულის, სამტრედიისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც. მაგრამ ბოსტნეულის მაღალი მოსავლის მიღება საკმარისი არ არის. საჭიროა ამ პროდუქციის დროზე აღება, დახარისხება და მომხმარებლამდე უკეთ მიტანა. ესე იგი ამ პროდუქციით ვაჭრობის უკეთ მოწყობა. ამ მხრივ კი ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს, ჯერ კიდევ ბევრი გასაკეთებელი და მოსაგვარებელია.

ცნობილია, რომ მეცხოველეობა ჩვენი სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით ჯერ კიდევ ჩამორჩენილია, რისთვისაც რესპუბლიკა არაერთხელ იქნა სამართლიანად გაკრიტიკებული, კერძოდ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზეც.

მეცხოველეობის განვითარების საკითხები ამას წინათ სპეციალურად განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, სადაც ამ მნიშვნელოვანი დარგის ჩამორჩენის მიზეზად აღინიშნა ის გარემოება, რომ სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, ზოგიერთი რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები არ იჩენენ სათანადო ზრუნვას ამ დარგის განვითარებისათვის, არ იყენებენ არსებულ რეზერვებსა და შესაძლებლობებს მეცხოველეობაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, რაც მთავარია, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ უახლოეს წლებში გავზარდოთ პირუტყვის სულადობა და გავაუმჯობესოთ ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა, გავადიდოთ მისი პროდუქტიულობა და შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, საგრძნობლად განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა. წელს ხშირი წვიმების შედეგად საძოვარ-სათიბებზე ბალახი, როგორც იტყვიან, მუხლზეა. ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს ბალახი უდანაკარგოდ ავიღოთ და შევინახოთ. ახლავე უნდა ვიზრუნოთ საკვების სხვა რესურსებზეც.

ხორცისა და რძის წარმოების მოკლე დროში მკვეთრად გაფართოების მიზნით გათვალისწინებულია რქიანი პირუტყვის ხორცის საწარმოო კომპლექსების შექმნა, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე. ასეთივე კომპლექსები შეიქმნება აგრეთვე საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების ხაზით.

ასევე დიდი ღონისძიებებია დასახული მეფრინველეობის შემდგომი განვითარების დარგშიც. შენდება და უახლოეს დროში ამუშავდება მსხვილი მეხორცეობისა და მეკვერცხეობის მიმართულების ფრინვლის ფაბრიკები. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს ორი-სამი წლის განმავლობაში ხორცის წარმოება ძირითადად სამრეწველო საფუძველზე გადავიყვანოთ, მკვეთრად გავზარდოთ მისი წარმოება, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის უფრო სრულად დაკმაყოფილება ამ პროდუქტებით.

უეჭველია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება უზრუნველყოფს მეცხოველეობის დარგში არსებული სიძნელეებისა და ჩამორჩენის დაძლევას.

ჩვენში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის გამოყენებული სახნავ-სათესი და უპირველეს ყოვლისა სარწყავი მიწები. ამ მიწების გარკვეულ ფართობებს ჯერ კიდევ არ იყენებენ სათანადოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. სახელმწიფო დიდ კაპიტალურ დაბანდებებს ხარჯავს მიწების მელიორაციაზე. მარტო ამ ხუთწლედში ამ მიმართულებით 428 მილიონი მანეთი დაიხარჯება, მიმდინარე ხუთწლედში უნდა გასარწყავდეს 70 ათასი ჰექტარი მიწის ფართობები. ცხადია, ასეთ ვითარებაში ყოვლად შეუწყნარებელია ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო ფართობების დაბალი ინტენსივობით გამოყენება. ეს ნაკლი უახლოეს დროში უნდა აღმოიფხვრას. ამოცანა ის არის, რომ სახნავი, ნასვენი და სარწყავი მიწები მთლიანად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის და ამ ფართობებზე მოვაწყოთ მაღალრენტაბელური სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტენსიური წარმოება.

სახნავ-სათესი მიწების სიმცირის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქარისმიერ და წყლისმიერ ეროზიასთან ბრძოლას და მათგან ნიადაგების დაცვის სამუშაოთა გეგმების აუცილებლად შესრულებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სერიოზული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი სახსრები წლითიწლობით აუთვისებელი რჩება. წელსაც ეს სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად სრულდება. ამ საკითხებსაც პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო და დასახულია ღონისძიებანი სავარგულების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი სახალხო მეურნეობის, მისი ძირითადი ფონდების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კაპიტალური მშენებლობა. პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებში კაპიტალურ მშენებლობას და კაპიტალური მშენებლობის შედეგად ძირითადი საწარმოო ფონდების ამოქმედების საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

კაპიტალური მშენებლობის მოცულობა რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება. ფართოვდება და უფრო სრულყოფილი ხდება კაპიტალური მშენებლობის ბაზა. ქართველი მშენებლების მიერ აგებულია სამრეწველო და სამოქალაქო დანიშნულების არაერთი ათეული და ასეული ნაგებობა, რაც თავისი ტექნიკური მასშტაბებით ჩვენი საინჟინრო და სამშენებლო აზრის სიმწიფეს მოწმობს. საკმარისია დავასახელოთ ხრამის კასკადის ჰიდროელექტროსადგურები, მშენებლობის პროცესში მყოფი ენგურის ურთულესი ჰიდროელექტროსადგური, თბილისის მეტროპოლიტენი, სასტუმრო „ივერია", სპორტის სასახლე, კინოსაკონცერტო დარბაზი, უნივერსიტეტის ახალი შენობა, სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების კომპლექსები და მრავალი სხვა. მაგრამ კაპიტალური მშენებლობა ჩვენი სახალხო მეურნეობის მაინც ერთ-ერთი ჩამორჩენილი უბანია. კაპიტალური მშენებლობისათვის წლითიწლობით გამოყოფილი როგორც ცენტრალიზებული, ისე არაცენტრალიზებული სახსრები ნაწილობრივ აუთვისებელი რჩება, ირღვევა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, საბინაო და კომუნალური მშენებლობის მნიშვნელოვანი ობიექტების დროულად დამთავრება, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას.

კაპიტალური მშენებლობისათვის დაშვებული სახსრების ათვისება და საიჯარო სამუშაოთა მოცულობის შესრულება მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაშიც არასახარბიელო სურათს იძლევა. კაპიტალური მშენებლობის გეგმა მთლიანად შესრულებულია 87 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 93 პროცენტით.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირეოდენი გამონაკლისის გარდა მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში კაპიტალური მშენებლობის გეგმა არც ერთი სამინისტროს ან უწყების ხაზით სრული მოცულობით არ შესრულებულა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდ ჩამორჩენას აქვს ადგილი მსუბუქი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების და სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხაზით.

კაპიტალური მშენებლობის დაშვებული სახსრების ათვისების საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის პასუხისმგებელი არიან, რასაკვირველია, შემკვეთი ორგანიზაციები — სამინისტროები და უწყებები, მაგრამ ძირითადი ბრალი კაპიტალური მშენებლობის წარუმატებლობაში მოიჯარადრე ორგანიზაციებს ედებათ. მათს მუშაობაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ჯერ კიდევ გრძელდება, თუმცა უკანასკნელ ხანს დიდი ღონისძიებები განხორციელდა მშენებლობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების და სხვა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების სამშენებლო ინდუსტრიული ბაზის გაძლიერების და მუშაობის სხვა პირობების გაუმჯობესების მიზნით. მაგრამ რესპუბლიკის საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები მაინც სრულად ვერ ართმევენ თავს საიჯარო სამუშაოთა გეგმებს. სისტემატურად არღვევენ სამშენებლო სამუშაოების დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, ,რაც იწვევს მშენებლობის ხარისხის გაუარესებას. მიმდინარე წლის ექვსი თვის განმავლობაში საიჯარო სამუშაოთა გეგმა 99 პროცენტით არის შესრულებული, მათ შორის მშენებლობის სამინისტროს მიერ 96 პროცენტით.

წელს გამონაკლისია სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, რომელმაც საიჯარო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა და ამავე დროს წარმატებით გაართვა თავი გეგმის ყველა დავალებას. ეს სამინისტრო სულ რამდენიმე წლის წინათ ჩამოყალიბდა და მას, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან პასუხსაგები ამოცანები აკისრია სოფლის მეურნეობის ძირითადი ობიექტების მშენებლობის დარგში. მან მოკლე დროში შეძლო სათანადო სამშენებლო ბაზის შექმნა, წლითიწლობით ზრდის შესრულებულ სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობას და მთლიანად წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

მაგრამ, მაინც რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის წარმატება ძირითადად დამოკიდებულია მშენებლობის სამინისტროს მუშაობაზე, რომელიც დიდი, თითქმის 300 მილიონი მანეთის მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებს. მართალია, მან წარსულ პერიოდთან შედარებით გარკვეულად გააუმჯობესა მუშაობა, მაგრამ მაინც ვერ ართმევს თავს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დამტკიცებულ გეგმებს და სისტემატურად არღვევს მნიშვნელოვანი ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადებს. დროა მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ღონისძიებები დასახოს და განახორციელოს სამშენებლო სამუშაოთა უკეთესი ორგანიზაციის მიზნით და უზრუნველყოს კაპიტალური მშენებლობის საიჯარო გეგმების მთლიანად შესრულება, სახალხო მეურნეობის ყველა ახალი ობიექტის დროულად საექსპლოატაციოდ გადაცემა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ობიექტების მშენებლობას.

საჭიროა შემკვეთი ორგანიზაციების — სამინისტროებისა და უწყებების, საპროექტო და საიჯარო ორგანიზაციების მთელი ყურადღების თავმოყრა კაპიტალური მშენებლობის გეგმების მთლიანად შესრულების, ობიექტების დროულად დამთავრების მიზნით, სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. ეჭვი არ არის, რომ ეს ორგანიზაციები ყველაფერს იღონებენ ამ საქმეში ჩამორჩენის დასაძლევად და კაპიტალური მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმებს მთლიანად შეასრულებენ.

მინდა დეპუტატების ყურადღება განსაკუთრებით გავამახვილო საბინაო და კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულების ჩამორჩენაზე.

კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა საბინაო მშენებლობაში მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 90 პროცენტით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყების მიერ — 89 პროცენტით. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის საქმეში. არ შესრულდა ქალაქ თბილისში საცხოვრებელი ბინების ექსპლოატაციაში გადაცემის ნახევარი წლის გეგმები.

საბინაო მშენებლობის და საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმების შეუსრულებლობა ყოვლად შეუწყნარებელია. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში ჩამორჩენა დავძლიოთ. მოსახლეობამ დროულად უნდა მიიღოს კეთილმოწყობილი ბინები დაგეგმილი მოცულობით და დადგენილ ვადებში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ, გაითვალისწინეს რა საბინაო მშენებლობის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, სპეციალურად განიხილეს ეს საკითხი და დასახეს ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით. კერძოდ, ქალაქ თბილისში მშენებლობის და განსაკუთრებით საბინაო მშენებლობის საქმის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ჩამოყალიბდა თბილისის მთავარი სამმართველო სამშენებლო სამინისტროს სისტემაში, რომელსაც დაექვემდებარა თბილისში არსებული ყველა სამშენებლო ტრესტი. მის ხელში იქნება ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმე და მთელი სამშენებლო ბაზა. გატარდა აგრეთვე დიდი ღონისძიებანი სამშენებლო ბაზის გაძლიერების, საბინაო მშენებლობის ახალი კომბინატების შექმნის მიმართულებით. უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს თბილისში სამშენებლო ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულებას.

დიდი ჩამორჩენა გვაქვს კომუნალური დანიშნულების ობიექტების, კერძოდ წყალსადენების, კანალიზაციისა და მათი გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის საქმეში ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებში და განსაკუთრებით რესპუბლიკის დედაქალაქში — თბილისში. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი მსხვილის საწარმოები, რომლებიც ტექნოლოგიური პროცესების თავისებურებათა გამო აჭუჭყიანებენ წყლის მსხვილ არტერიებს და განსაკუთრებით მდინარე მტკვარს, სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ წილობრივ მონაწილეობას არ იღებენ საკანალიზაციო და გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობაში. ის არასაკმარისი თანხები კი, რაც გამოიყოფა ამ მიზნებისათვის, სამშენებლო ორგანიზაციების მიერ აუთვისებელი რჩება. მიმდინარე ნახევარი წლის გეგმაც შეუსრულებელია.

კომუნალური მეურნეობის ობიექტების და განსაკუთრებით საკანალიზაციო ქსელებისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის საკითხები, შემკვეთი და საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, მათი სანიტარული ინსპექციის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ საწარმოები ან სხვა დაწესებულებები არღვევენ სანიტარულ ნორმებს, მათ წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნას სასტიკი სანქციები, თვით წარმოების დახურვამდე.

თქვენთვის ცნობილია, რომ მრეწველობის არნახული მასშტაბებით განვითარებამ, დიდი ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების წარმოშობამ, სადაც თავმოყრილია მრავალი ადამიანი, გამოიწვია გარემოს — ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანება ნარჩენი პროდუქტებით. ამ გარემოებამ კი განაპირობა ფლორისა და ფაუნის განვითარების ოპტიმალური პირობების დარღვევა.

გარემო პირობების — ჰაერისა და წყლის აუზების გაჭუჭყიანებისაგან დაცვას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაში. პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ახორციელებენ ღონისძიებებს ამ მიმართულებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენშიც, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, წარმოების ცალკეული დარგების მიერ სათანადო ღონისძიებათა გაუთვალისწინებლობის გამო ხდება როგორც ჰაერის, ისე წყლის არტერიების დიდი გაჭუჭყიანება.

(დასასრული მე-3 გვ.).

ამხანაგ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენების დასასრული

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო ბუნების დაცვის საკითხებს, წყლისა და ჰაერის გაჭუჭყიანებისაგან დაცვას ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. ეს საკითხები არაერთხელ ყოფილა. აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მსჯელობის საგანიც. განხორციელებულმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგები გამოიღო, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების გარემოში ხშირია ჰაერში ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებების მაღალი კონცენტრაცია, ადგილი აქვს მდინარეებისა და ზღვის სამრეწველო ჩამონადენით დაუშვებელ გაჭუჭყიანებას. ამიტომ იმ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას, რაც ჰაერისა და წყლის სიწმინდის დაცვას ითვალისწინებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. უნდა სრულვყოთ ტექნოლოგიური პროცესები, მოვაწყოთ მავნე აირების გამწმენდი ნაგებობანი. ბოლოს უნდა მოეღოს სამრეწველო ჩამონადენის ჩაშვებას მდინარეებში გამწმენდ ნაგებობათა მოუწყობლად და სხვ.

საგეგმო კომიტეტმა და ყველა უწყებამ ეს ღონისძიება სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს ხუთწლიან გეგმებში.

ამხანაგო დეპუტატებო! მიმდინარე 1971 წლის ექვსი თვის განმავლობაში ახალი ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესაბამისად უკვე განხორციელდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. მოსახლეობის ფულადი შემოსავალი 10,5 პროცენტით გაიზარდა და ამის შესაბამისად გაიზარდა საცალო საქონელბრუნვის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ძირითადმა სავაჭრო ორგანიზაციებმა კარგად დაიწყეს 1971 წელი და რომ საქონელბრუნვის გეგმა 101,1 პროცენტით შესრულდა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მისი მოცულობა 8,1 პროცენტით გაიზარდა მოსახლეობას გეგმის ზევით 12,2 მილიონი მანეთის ღირებულების ფართო მოხმარების საქონელი მიეყიდა. მაგრამ თუ სახელმწიფო ვაჭრობის ხაზით გეგმა 101,7 პროცენტით შესრულდა, სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით იგი მხოლოდ 99,6 პროცენტით იქნა განაღდებული. საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ზუგდიდის, ბოგდანოვკის, ცაგერის, ახალქალაქის, გეგეჭკორის, ვანის, წალკის, ხაშურის და სხვა რაიონები. საცალო ვაჭრობის ორგანიზაციის დარგში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სხვა სერიოზულ ნაკლოვანებებსაც. გაძლიერებას მოითხოვს სავაჭრო ორგანიზაციების ბაზები: ზოგჯერ ვაჭრობაში არ არის ისეთი საქონელი, რომელიც საკმაოდ არის ვაჭრობის საბითუმო ბაზებში, ადგილი აქვს საქონლის ზენორმატიულ ნაშთებს. ჯერ კიდევ საკმაო სიმაღლეზე ვერ დგას ვაჭრობის კულტურა. ეხვდებით მომხმარებლის ზომა-წონაში მოტყუების შემთხვევას და სხვა.

საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაში აღნიშნულმა არარიტმულობამ, ზოგიერთი რაიონის მიერ კი მისმა შეუსრულებლობამ გარკვეული სიძნელეები შექმნა საკასო გეგმების შესრულების საქმეში. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც სავაჭრო ორგანიზაციებს, ისე საქონლის მიმწოდებლებს. აგრეთვე ქალაქისა და რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებსა და სახელმწიფო ბანკის სათანადო განყოფილებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საქონელბრუნვის გეგმისა და შესაბამისად საკასო გეგმების უპირობო შესრულება, ფულის მიმოქცევის გაუმჯობესება.

ამხანაგებო! ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ახალი ხუთწლედის პირველი წლის პირველ ნახევარში მაღალი ტემპებით ვითარდებოდა, რამაც განაპირობა სახალხო მეურნეობის გეგმებით გათვალისწინებული ძირითადი დავალებების წარმატებით შესრულება. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მუშაობა არ იყო დაზღვეული ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისაგან, რაც ერთგვარად აფერხებდა ჩვენს წარმატებით წინსვლას.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებით გათვალისწინებულ სერიოზულ დავალებათა სრულად და გადაჭარბებით შესრულება, საჭიროა მივიღოთ გადამწყვეტი ღონისძიებები არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით. სახალხო მეურნეობის გეგმების წარმატებით შესრულება უპირველეს ყოვლისა მოითხოვს მეურნეობის დაგეგმვის მეთოდების სრულყოფას; როგორც მოგეხსენებათ, სახალხო მეურნეობის გეგმები საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მთავარი კრიტერიუმია. ამიტომ დაგეგმვის მეთოდები უფრო მოქნილი, ცხოვრების მოთხოვნილებებთან უფრო დაახლოებული უნდა იყოს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ, გეგმის შესრულების მსვლელობაში შექმნილი კონიუნქტურის შესაბამისად ხორციელდებოდეს მუშაობის ოპერატიული გეგმების კორექტირება და ამით მიღწეულ იქნას გეგმის შესრულების ოპტიმალური პირობები. უნდა გარდაიქმნას, უფრო სრულყოფილი და სტრუქტურულად დახვეწილი გახდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მართვის რგოლი. ახლა, როდესაც კომუნისტურმა პარტიამ აიღო საზოგადოებრივი წარმოების ყოვლისმხრივი ინტენსიფიკაციისა და მისი ეფექტურობის ზრდის კურსი, შეუძლებელი ხდება მრეწველობის ცალკეული დარგების წარმატებით მართვა და ხელმძღვანელობა ძველი მეთოდებით, მხოლოდ ინტუიციაზე, ხელმძღვანელის ნიჭზე, უნარზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით. საჭიროა მართვის სრულყოფის მიზნით ფართოდ გამოვიყენოთ ახალი მეცნიერული მეთოდები, რაც ითვალისწინებს ინფორმაციის გაუმჯობესებას, მართვის ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა ახალი მეთოდების დანერგვას, ეკონომიურ-მათემატიკური ანალიზის, ელექტრონულ-გამომთვლელი და ორგანიზაციული ტექნიკის და სხვა საშუალებათა პრაქტიკაში გამოყენებას და სხვ. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მუშაობა უფრო უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს.

წარმოების ეფექტურობის მკვეთრი ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ეკონომიურად მიზანშეწონილი კონცენტრაცია და სპეციალიზაცია, საწარმოთა გაერთიანებათა შექმნა. ხუთწლიანი გეგმების დავალებათა წარმატებით შესრულება მოითხოვს, რომ ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს.

სერიოზული ღონისძიებები უნდა გატარდეს ჩვენი სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. მათი აპარატების მუშაობა უფრო ოპერატიული უნდა გახდეს. ისინი უფრო ღრმად უნდა ჩასწვდნენ დარგების განვითარებას, ცალკეული საწარმოების მუშაობას, საწარმოთა ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და ეკონომიურ საკითხებს.

გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ყოველმხრივ უნდა განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა, ამაღლდეს თვითეული სამეურნეო ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა დაწესებული გეგმების შესრულებისათვის, არსებული მატერიალური სახსრების, ნედლეულის და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებისათვის. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა მატერიალურ დაინტერესებას, მათი ცხოვრების პირობებისა და დონის გაუმჯობესებას.

სახალხო მეურნეობის გეგმების დავალებათა წარმატებით შესრულებაში დიდი გავლენა უნდა იქონიონ ადგილობრივმა ორგანოებმა — საქალაქო, რაიონულმა, სასოფლო და სადაბო საბჭოებმა და მათმა აღმასკომებმა, რომელთა როლი და ავტორიტეტი უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით განმტკიცდა და მოვალეობა და უფლებები კი სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების, ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების საქმეში, განსაკუთრებით პარტიის XXIV ყრილობის შემდეგ გაფართოვდა და გაიზარდა.

მინდა დავარწმუნო უმაღლესი საბჭოს სესია, რომ რესპუბლიკის მთავრობა, ყველა სამინისტრო და უწყება ყველაფერს გააკეთებენ, რათა უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის 1971 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა დავალებათა შესრულება და შექმნან ყველა პირობა ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენცია ახალ ხუთწლიან გეგმას შეხვდნენ როგორც თავიანთ ღვიძლ საქმეს და მტკიცედ იბრძვიან მისი განხორციელებისათვის. ყრილობის მაღალი სულისკვეთება თან სდევს მათს შემოქმედებასა და შრომას. ახლა ყველა ჩვენგანის ვალია ყოველდღიური პრაქტიკული საქმით, გულმოდგინე შრომით გავამრავლოთ ჩვენი წარმატებანი.

ამ ვითარებაში საჭიროა კვლავ გავიხსენოთ ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვები, წარმოთქმული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო საზეიმო სხდომაზე: „ყრილობის გადაწყვეტილებათა აზრის, თვით სულისკვეთების ღრმა გაგება, მისი ხაზის თანმიმდევრულად და მკაფიოდ განხორციელება ქვეყნის სამეურნეო, საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ცხოვრების ყველა დარგში — აი რა მოეთხოვება ახლა თვითეულ კომუნისტს, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას. ყრილობის ხაზის განხორციელებისაკენ უნდა იყოს მიმართული ღონე მთელი ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ნება, მისწრაფება, შრომითი ღონისძიებანი“.

გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ ქართველი ხალხი, საქართველოს ყველა მშრომელნი ძალასა და ღონეს არ დაიშურებენ, რათა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

როგორც მოსალოდნელი იყო, სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლედის პირველი 1971 წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობის განხილვამ საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე მონაწილეთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. გაიმართა მეტად საინტერესო პრინციპული ხასიათის კამათი და აზრთა გაზიარება გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულების, ამ საარსებო საკითხების გამო.

დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი არსებული რეზერვების — მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების შესახებ. გამოთქმული იყო კრიტიკული შენიშვნები ჩვენი სამინისტროებისა და უწყებების მიმართ. აღსანიშნავია, რომ დეპუტატების ყველა გამოსვლა გამსჭვალული იყო ერთი მთავარი აზრით — რაც შეიძლება უკეთ, გადაჭარბებით შესრულდეს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები.

კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ერთგვარად შეავსეს მოხსენება და ილაპარაკეს არა მარტო დიდ მიღწევებზე, რაც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგმა, რესპუბლიკის ცალკეულმა რაიონებმა და ქალაქებმა მოიპოვეს გეგმის შესრულების მსვლელობაში, არამედ იმ სერიოზული ნაკლოვანებების შესახებაც, რომლებიც ჯერ კიდევ თან სდევს სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებას. მათ ილაპარაკეს მუშაობაში არსებულ კონკრეტულ ხარვეზებზე და წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი მათი დაძლევის, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის დავალებათა წარმატებით და ვადაზე ადრე შესრულების უზრუნველყოფის შესახებ.

დეპუტატების მიერ წამოყენებულ ყველა წინადადებას რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გულდასმით განიხილავს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას. მაგრამ დეპუტატების მიერ შემოტანილი ყველა წინადადება ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყდება, ვერ მოხერხდება მათი ერთბაშად განხორციელება, რადგან როგორც მოგეხსენებათ, 1971 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები და სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულია. ჩვენ სწორედ აქ, ამ სესიაზე, მათი შესრულების მიმდინარეობას განვიხილავთ, და ამიტომ ახალ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით დამატებითი ფულადი და სხვა მატერიალური სახსრების გამოყოფა, რაგინდ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ეს ღონისძიებები, წელს გაძნელდება.

დროის უქონლობის გამო საშუალება არა მაქვს დეპუტატების ყველა გამოსვლაზე კონკრეტულად შევაჩერო თქვენი ყურადღება. ამიტომ ნება მიბოძეთ მათი კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები ორ ჯგუფად დავყო.

პირველი ჯგუფი შეიცავს წინადადებებსა და შენიშვნებს, რომლებიც აღნიშნულია სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების მსვლელობაში, ცალკეულ დარგებსა და საწარმოებში გამოვლინებული ნაკლოვანებები და ხარვეზები და აძრული მეტად სერიოზული საკითხები არსებული ფულადი, მატერიალური და შრომითი რესურსების უკეთ, უფრო ინტენსიური გამოყენების შესახებ, საგეგმო დავალებათა უფრო წარმატებით შესრულების მიზნით. ეს წინადადებები შექმნილია კონკრეტული კონიუნქტურის შესაბამისად და ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საწარმოო გეგმების კორექტირება, ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენება, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია, შრომის ნაყოფიერების ზრდა. ისინი ყურადღებას ამახვილებენ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების უკეთ გამოყენებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების პრობლემებზე. ამ წინადადების განხორციელება დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს გეგმის შესრულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. ეს უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წარმოების მოცულობის ზრდას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციას და დავალებათა გადაჭარბებით შესრულებას.

ამასთან ერთად რიგმა დეპუტატებმა თავის გამოსვლაში დააყენეს არანაკლებ სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხები ჩვენი სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების შესახებ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათ მიერ წამოყენებული საკითხების გადაჭრა მოითხოვს საგრძნობი ფულადი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დამატებით გამოყოფას. ეს წინადადებები წლევანდელ საკითხებს სცილდებიან და გეგმიან გადაწყვეტას მოითხოვენ.

მინდა დავარწმუნო დეპუტატები, რომელთაც ამკატეგორიის საკითხები დააყენეს, რომ ამ წინადადებებსაც გულდასმით განიხილავს რესპუბლიკის მთავრობა ხუთწლიანი გეგმის შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცესში და შეძლებისდაგვარად, არსებული რესურსების შესაბამისად გათვალისწინებული იქნება მათი განხორციელებაც.

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო მეურნეობის დამტკიცებული გეგმების შესრულების მსვლელობაში ხშირად წამოიჭრება ხოლმე გაუთვალისწინებელი სიძნელეები, რაც გამოწვეულია ან მასალებისა და ნედლეულის, ან ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების მიწოდების შეფერხებით, მუშათა კადრების ნაკლებობით და სხვა. ეს სიძნელეები, სამწუხაროდ, არცთუ ისე იშვიათად არის ჩვენს მუშაობაში და, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთხანს მათ კიდევ ექნებათ ადგილი.

მაგრამ სწორედ იმისათვის არიან მოწოდებული ჩვენი სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, მთავარი სამმართველოები და სხვა უწყებები, მათი აპარატები, რომელთა სათავეში, როგორც წესი, გამოცდილი, სპეციალური მომზადების მქონე ხელმძღვანელები დგანან, რომ მათ დასახონ და განახორციელონ ოპერატიული ღონისძიებანი, შეძლონ წარმოქმნილი სიძნელეების დაძლევა, მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა.

ამხანაგო დეპუტატებო!

ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების დამტკიცებული წლევანდელი სახელმწიფო გეგმები წარმატებით და, უფრო მეტიც, გადაჭარბებით იქნას შესრულებული. ჩვენ არ დავუშვებთ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის არც ერთი დავალების შეუსრულებლობას. ყოველწლიურად გეგმების შესრულების შედეგად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უნდა შეიქმნას რეზერვები, რაც განაპირობებს მომდევნო წლის გეგმებისა და ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფართო მოხმარების პროდუქციის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოების გეგმების შესრულებას, მათი წარმოების გაფართოებას, გამოშვებული პროდუქციის განახლებას და ხარისხის გაუმჯობესებას. აქ დეპუტატებმა სწორად დააყენეს ჩვენი მრეწველობის მიერ გამოშვებული ზოგიერთი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. სათანადო სამრეწველო სამინისტროებმა, უწყებებმა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ ეს თავიანთ მომავალ მუშაობაში.

სამინისტროების, უწყებებისა და საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს კაპიტალური მშენებლობის დამტკიცებული გეგმების განუხრელად შესრულების საკითხები. უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს სახალხო მეურნეობის იმ დარგების ობიექტების მშენებლობას, რომლებიც განაპირობებენ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, მათი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. უთუოდ უნდა შესრულდეს მსუბუქი, კვების, ადგილობრივი მრეწველობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობის გეგმები.

ჩვენ უნდა განვახორციელოთ ყველა ღონისძიება, რომ გარდატეხა მოვახდინოთ საბინაო მშენებლობაში. უკვე მოგახსენეთ, რომ საბინაო მშენებლობის მდგომარეობა სადღეისოდ ქმნის გეგმების შესრულების ჩაშლის საშიშროებას. მდგომარეობა ამ საქმეში აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. უზრუნველყოფილი უნდა იქნას ბინების მშენებლობა და მათი საექსპლოატაციოდ გადაცემა დადგენილ ვადებში. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ბევრი მოქალაქე ჯერ კიდევ არაკეთილმოწყობილ ბინებში, სივიწროვეში ცხოვრობს, და ბუნებრივია, ელის საყოფაცხოვრებო-საბინაო პირობების გაუმჯობესებას. ამიტომ საბინაო-კომუნალური ობიექტების მშენებლობაში ჩამორჩენას ჩვენ ვერავის ვერ ვაპატიებთ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს მხოლოდ ჩემი და თქვენი შეხედულება როდია, რომ ეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხაზია, რომელსაც ისინი ატარებენ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

ამხანაგო დეპუტატებო! უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიმდინარე წლის სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების მსვლელობის განხილვა და სესიის დადგენილება ამ საკითხებზე უდავოდ ხელს შეუწყობს გეგმების წარმატებით შესრულებას. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, ცალკეული საწარმოო კოლექტივები და მათი ხელმძღვანელები ღრმად გაანალიზებენ იმას, რაც გაკეთდა და რაც უნდა გაკეთდეს წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის და ამით განაპირობებენ მიმდინარე წლის ყველა დავალების წარმატებით შესრულებას, დასაბამს მისცემენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას. (ტაში).



სესიის დარბაზიდან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები (მარცხნიდან) აკადემიკოსი ა. შანიძე, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ი. ქანთარია, თბილისის კერამიკული კომბინატის მხატვარი მ. მარტიროსოვა, პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. აბესაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს გაუქმების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 24 მარტის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს გაუქმების შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 12 ივლისი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. ა. კვაჭაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ნება მომეცით მოგახსენოთ იმ ბრძანებულებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის შემდეგ და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ისინი უნდა დაამტკიცოს უმაღლესმა საბჭომ.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულებით საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ენერგეტიკული საწარმოები და ორგანიზაციები უშუალო დაქვემდებარებაში გადაეცა ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის საკავშირო სამინისტროს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რესპუბლიკის მთავრობის წარდგინების საფუძველზე, 1971 წლის 24 მარტის ბრძანებულებით გააუქმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველო.

ამ ბრძანებულების დამტკიცებასთან ერთად სათანადო ცვლილება უნდა იქნას შეტანილი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში, რომლითაც განსაზღვრულია რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა. ამასთან დაკავშირებით ამ მუხლიდან ამოღებული უნდა იქნას სიტყვები: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინების საფუძველზე 1971 წლის 5 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ იქნა ბრძანებულება სისხლის სამართლის კოდექსისათვის 173^2 მუხლის დამატების შესახებ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე მუხლისა დანაშაულად არის ცნობილი „გატაცების ნიშნების გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით“. ეს მუხლი მოიცავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ანგარებით გამოყენების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის მძღოლების მიერ მათთვის სამსახურებრივად მინდობილი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას ანგარების მიზნით, სახელდობრ მგზავრების უნებართვოდ გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას.

ამ გარემოებათა თავიდან აცილების მიზნით და იმიტომ, რომ გაძლიერდეს ბრძოლა იმ მუშაკების წინააღმდეგ, ვინც სახელმწიფო ტრანსპორტს იყენებს ანგარების მიზნით, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ ცნო სისხლის სამართლის კოდექსს დამატებოდა 173^2 მუხლი შემდეგი რედაქციით: „მძღოლის მიერ მისთვის სამსახურებრივად მინდობილი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ანგარების მიზნით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვისათვის, თუ ასეთივე ქმედობისათვის ადრე დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული სასჯელი, — ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ორას მანეთამდე ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით ორ წლამდე“.

იგივე ქმედობა, თუ იგი ჩადენილია განმეორებით ანდა დიდი ოდენობის მატერიალური მოგების მისაღებად — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ზემოაღნიშნული ბრძანებულების მიღებამდე საკითხი განხილულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიების მიერ, ადმინისტრაციული და სხვა დაინტერესებული ორგანოების ხელმძღვანელების მონაწილეობით, რომლებმაც მიზანშეწონილად მიიჩნიეს სისხლის სამართლის კოდექსში ზემოაღნიშნული ცვლილების შეტანა.

ვენერიულ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად შემოიტანა წარდგინება ამ დაავადების გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. აღნიშნული საკითხი განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიამ, რომელმაც მოიწონა წარმოდგენილი ბრძანებულების პროექტი. ამის შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 6 ივლისს მიიღო ბრძანებულება, რომლითაც შეიცვალა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლის რედაქცია. ცვლილებათა არსი შემდეგში გამოიხატება: თუ ადრე მოქმედი რედაქციით ვენერიული სენის შეყრისათვის გათვალისწინებული იყო როგორც თავისუფლების აღკვეთა, ისე გამასწორებელი სამუშაოები, ახლა ასეთი ქმედობისათვის სასჯელის ზომად დაწესებულია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა. ნაცვლად ერთისა ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული ვენერიული სენის მკურნალობისათვის თავის არიდებისათვის. გარდა ამისა 122-ე მუხლს დაემატა ახალი ნაწილი, რომლითაც დაწესდა გაზრდილი პასუხისმგებლობა — თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან ხუთ წლამდე — ორი ან მეტი პირისათვის ანდა არასრულწლოვანისათვის ვენერიული სენის შეყრისათვის.

აღნიშნულს გარდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განვლილ პერიოდში მიიღო ბრძანებულებანი საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი წევრის თანამდებობიდან განთავისუფლების და დანიშვნის შესახებ. სახელდობრ:

1970 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით ამხ. მიხეილ ბაგრატის-ძე ღვინჯილია გათავისუფლდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან და დაინიშნა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად.

იმავე რიცხვის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრად დაინიშნა ამხ. იოსებ გიორგის-ძე რთველიაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1971 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით ამხ. ვალერიან ივლიანის-ძე გაბაჭკორია დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

ამავე თარიღის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა:

ამხ. ადოლფ ვარლამის-ძე ხუროძე დანიშნა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრად და გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან.

ამხ. გივი ალექსანდრის-ძე დუჩიძე დანიშნა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრად.

ამხ. შოთა მიხეილის-ძე თათარაშვილი გაათავისუფლა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრად დანიშნა ამხ. იოსებ ალექსის-ძე ხარატიშვილი.

1971 წლის 30 აპრილის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ზურაბ გიორგის-ძე ახვლედიანი გაათავისუფლა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნა ამხ. გიორგი იოსების-ძე ხუციშვილი.

ამხანაგო დეპუტატებო! ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონისა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტები თქვენ მიღებული გაქვთ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ განიხილოთ და დაამტკიცოთ ისინი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 173^2 მუხლის დამატების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 5 ივლისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსისათვის 173^2 მუხლის დამატების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 12 ივლისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ვენერიული სენის გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 6 ივლისის ბრძანებულება „ვენერიული სენის გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 12 ივლისი.

ევროპის უშიშროებისათვის

12 ივლისს მოსკოვში გაიმართა ევროპის უშიშროების საბჭოთა კომიტეტის ბიუროს გაფართოებული სხდომა. სხდომამ განიხილა კომიტეტის თავმჯდომარის ა. პ. შიტიკოვის მოხსენება ევროპის ქვეყნების საზოგადო მოღვაწეთა საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ, რომელიც 22-24 ივნისს გაიმართა ბრიუსელში, აგრეთვე ევროპის უშიშროების კომიტეტის უახლოესი ამოცანები.

ბიურომ მოიწონა საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დელეგაციის საქმიანობა ბრიუსელის შეხვედრაზე, მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს შეხვედრის კომუნიკეს და შეუერთდეს ინიციატივას, რომელიც ამ შეხვედრამ გამოიჩინა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის საზოგადოებრივი ძალების ასამბლეის მოწვევის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ ასამბლეის წარმატებით მომზადება, მასზე ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების აქტუალური პრობლემების განხილვა შეესაბამება კონტინენტის ხალხთა ძირეულ ინტერესებს.

ევროპის უშიშროების საბჭოთა კომიტეტს განზრახული აქვს სხვა საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობის ეფექტიანი მონაწილეობა ასამბლეის აქტიურად მომზადებისა და მოწვევის საქმეში.

კომიტეტი განავითარებს კონტაქტებსა და ურთიერთობას ევროპის უშიშროების საზღვარგარეთის კომიტეტებთან, სხვა ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც ამოცანად ისახავენ ევროპის მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას და ასამბლეის მოწყობას, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ ამოცანის გადაწყვეტის გზაზე. (საქდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტის განხილვის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ პ. მ. ქლენ[illegible] მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! მიწა — საბჭოთა საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სიმდიდრე — არის წარმოების მთავარი საშუალება სოფლის მეურნეობაში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განლაგებისა და განვითარების სივრცობრივი ბაზისი და პლაცდარმი.

პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში გამახვილებულია ყურადღება მიწის დაცვისა და მისი მაღალეფექტური გამოყენების საკითხებისადმი.

კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი თავის სიტყვაში აღნიშნავდა, რომ მიწის დაცვა, მისი ნაყოფიერების გადიდება სოფლის მეურნეობაში შემდგომი პროგრესის აუცილებელი პირობაა. ეს უდიდესი სახელმწიფოებრივი პრობლემაა.

საბჭოთა მიწის კანონმდებლობა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

მიწის შესახებ გამოცემულმა ლენინურმა დეკრეტმა 1917 წლის 8 ნოემბერს სამუდამოდ გააუქმა კერძო საკუთრება მიწაზე და იგი საყოველთაო-სახალხო საკუთრებად აქცია. მიწა სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაეცა მშრომელებს.

სამწუხაროდ, საქართველოს მშრომელებს, მენშევიკების ბატონობის პერიოდში საბჭოთა რუსეთს მოწყვეტილთ, უფრო გვიან, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცათ ამ ისტორიული მნიშვნელობის დეკრეტის გამოყენების შესაძლებლობა.

რევოლუციამდელ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების მთელი ფართობიდან მეფის ხაზინაზე (საუფლისწულო მიწების ჩათვლით) მოდიოდა 59,9 პროცენტი, მემამულეებზე, მეფის საგვარეულოსა და მონასტრებზე — 33,8 პროცენტი და გლეხობაზე მხოლოდ 6,3 პროცენტი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე მიღებულ იქნა დეკრეტი მიწის შესახებ, რომლის მიხედვითაც მიწაზე კერძო საკუთრება სამუდამოდ გაუქმებული იქნა და შეიცვალა საერთო-სახალხო სახელმწიფოებრივი საკუთრებით.

მიწაზე სოციალისტურმა საკუთრებამ განაპირობა ახალი საადგილმამულო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა სსრ კავშირში.

ლენინის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში პირველი, რსფსრ-ის 1922 წლის, მიწის კოდექსის შემუშავება, რომლის საფუძველზე შემუშავებულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს სსრ 1924 წლის, მიწის კოდექსები.

საქართველოს სსრ 1924 წლის მიწის კოდექსი შემუშავებული იყო იმ დროს, როდესაც სოფლის მეურნეობაში სჭარბობდა წვრილი, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა. კოდექსების მიღების შემდეგ საადგილმამულო ურთიერთობაში ძირეული ცვლილებები მოხდა. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გადაიქცნენ მსხვილ, მექანიზებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებად. ამ პირობებში მიწის კანონმდებლობა, გარდა მცირე ნაწილისა, მოძველდა, ის საჭიროებს შემდგომ სრულყოფას, მოქმედი სამართლებრივი ნორმების განვითარებას და გაერთიანებას. მიწის კანონმდებლობის კოდიფიკაციით შესაძლებელი გახდებოდა ამ კანონმდებლობის უფრო ეფექტური გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში.

ლენინურმა იდეებმა საბჭოთა კანონმდებლობის კოდიფიკაციის შესახებ თავისი ასახვა ჰპოვეს საერთო საკავშირო კანონში „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლები“, რომელიც 1968 წლის 13 დეკემბერს დაამტკიცა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ. ამ კანონის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკისათვის განპირობებულია მისთვის დამახასიათებელი მრავალი თავისებურებით.

ჯერ ერთი, საქართველოში, როგორც მთიან ქვეყანაში, ტერიტორია რთული რელიეფის მქონეა, აქ მთებზე მოდის მისი ზედაპირის 53,6 პროცენტი, მთისწინებზე — 33,4 პროცენტი, და მხოლოდ 13 პროცენტი უჭირავს ბარს.

თავისებური და მთიანი ქვეყნისათვის დამახასიათებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სტრუქტურა, აქ სახნავზე მოდის 26,6 პროცენტი, ხოლო ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე 60 პროცენტამდე, მაშინ როცა შედარებით ვაკე რელიეფის მქონე ისეთ რესპუბლიკებში, როგორიც არის უკრაინა და მოლდავეთი, სახნავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში შესაბამისად 80 და 70 პროცენტი უჭირავს, ხოლო ბუნებრივ საკვებ სავარგულებს 14 და 13,5 პროცენტი.

დამახასიათებელია ისიც, რომ საქართველო მცირემიწიანი რესპუბლიკაა. აქ ერთ სულ მოსახლეზე 3,5-ჯერ ნაკლები სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და 5,2-ჯერ ნაკლები სახნავი მოდის, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში.

ამასთან ერთად საქართველოს სოფლის მეურნეობას უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელ ქვეყანაში შრომის საზოგადოებრივ განაწილებაში ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების პროდუქციის, მაღალხარისხოვანი ღვინის მასალების, ხილის, თამბაქოს და ა. შ. წარმოების გამო.

ყველაფერი ეს გვავალებს განსაკუთრებული სიფრთხილით მოვექცეთ თვითეული ჰექტარი მიწის გამოყენებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი ღონისძიებები განხორციელდა მიწების თვისობრივი გაუმჯობესების დარგში. ვ. ი. ლენინი შეუნელებელ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა საქართველოს მიმართ. კერძოდ, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მიწების მელიორაციის ღონისძიებებს. თავის წერილში კავკასიის კომუნისტებისადმი (1921 წ. აპრილი) ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ერთბაშად ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტრიფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

საქართველოს მშრომელებმა დიდი ბელადის ამ მითითებათა საფუძველზე, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით დიდი წყალსამეურნეო სამუშაოები განახორციელეს.

1921-1969 წლებში სარწყავი მიწის ფართობი 95 ათასი ჰექტარიდან 331 ათას ჰექტარამდე, ანუ თითქმის 3,5-ჯერ გაიზარდა, ამოშრობილია 118 ათასი ჰექტარი დაჭაობებული და ჭარბტენიანი მიწები, აქედან 70 ათას ჰექტარამდე კოლხეთის დაბლობში. ამ ღონისძიებებმა დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, ფართო სამრეწველო მასშტაბით ახალი საკავშირო მნიშვნელობის დარგების — მეჩაიეობის, მეციტრუსეობისა და სუბტროპიკული მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას.

დიდად განვითარდა საქართველოსათვის დამახასიათებელი ძველი დარგები — მევენახეობა, მეხილეობა, აგრეთვე მემცენარეობის სხვა დარგები, ნაკლები ტემპით, მაგრამ მაინც აღმავლობის გზით ვითარდებოდა მეცხოველეობა.

ყველაფერმა ამან უზრუნველყო ის, რომ 1913-1970 წწ. პერიოდში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 6-ჯერ გაიზარდა.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მიწების გამოყენებაში რესპუბლიკაში გარკვეული ნაკლოვანებები არ იყოს. ამაზე გამახვილებული იყო ყურადღება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის დადგენილებაში, აგრეთვე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის ივნისის პლენუმზე.

ახალი საადგილმამულო კანონმდებლობა თავისი მიზანდასახულობით საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი სრულყოფილი ნორმატიული აქტია. რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფის საქმეში. საფუძვლებმა შექმნეს მიწის საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის მოწესრიგებისა და შემდგომი განვითარების მტკიცე ბაზა. საფუძვლები ადგენს ზოგად, პრინციპულ დებულებებს, რომლებიც აუცილებელია ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის.

ბევრი საკითხი გადასაწყვეტად გადაეცა მოკავშირე რესპუბლიკებს. კერძოდ, საადგილმამულო ურთიერთობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობას მიეკუთვნება მიწის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განკარგვა რესპუბლიკის ფარგლებში, მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის ორგანიზაციის წესის დადგენა, მიწების მელიორაციის, ეროზიასთან ბრძოლისა და ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების გეგმების დადგენა, აგრეთვე საადგილმამულო ურთიერთობის სხვა საკითხების მოწესრიგება, თუ ისინი არ შედიან სსრ კავშირის კომპეტენციაში.

ამრიგად, მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებს დიდი უფლებები აქვთ საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში. ეს არის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებისაკენ მიმართული პარტიისა და მთავრობის თანმიმდევრული პოლიტიკის კონკრეტული გამოხატულება.

თქვენს განსახილველად წარმოდგენილ საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს დაინტერესებულმა სამინისტროებმა, უწყებებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა. კოდექსის პროექტი შენიშვნებისა და წინადადებებისათვის დაეგზავნა რესპუბლიკის მსხვილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს. შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული პროექტი განიხილულ და მოწონებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის და საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების მიერ.

წარმოდგენილი პროექტი მთლიანად შეესაბამება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლებს. ამასთან ერთად, ადგილობრივი პირობებისა და რესპუბლიკის მიწათსარგებლობის თავისებურებათა გათვალისწინებით, პროექტი ავითარებს და აკონკრეტებს იმ საკითხებს, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკის კომპეტენციას განეკუთვნება. ასეთია, კერძოდ, მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და ჩამორთმევის, მიწათმოწყობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებულ პუნქტებში მიწათსარგებლობის, საადგილმამულო დავების გადაწყვეტის საკითხები და სხვა.

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტი შედგება 11 კარისა და 156 მუხლისაგან.

პირველ კარში გადმოცემულია ზოგადი დებულებები. კოდექსის პროექტის მე-4 მუხლი განამტკიცებს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, რომელიც საბჭოთა მიწის კანონმდებლობის საფუძველს შეადგენს. ჩვენში სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებული უფლება მიწაზე აბსოლუტურ ხასიათს ატარებს. საკუთრების ეს უფლება კანონმდებლობით შეუზღუდველი, ხელშეუხებელი და განუსხვისებელია.

კოდექსის პროექტის მე-5 მუხლის თანახმად საქართველოს სს რესპუბლიკაში მთელი მიწა შედის ერთიან სახელმწიფო მიწის ფონდში, რომელიც შედგება შემდეგი კატეგორიის მიწებისაგან:

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;
2. დასახლებული პუნქტების მიწები;
3. მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალების და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;
4. სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწები;
5. სახელმწიფო წყლის ფონდის მიწები;
6. სახელმწიფო მარაგის მიწები.

კოდექსის პროექტში დაწვრილებით არის განსაზღვრული ყველა ამ კატეგორიის მიწების უფლებრივი რეჟიმი.

პროექტის პირველი კარის მეორე თავი განსაზღვრავს სარგებლობისათვის მიწის გამოყოფის წესს. საფუძვლების შესაბამისად, პროექტის მე-17 მუხლი ადგენს, რომ არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის გამოყოფილ უნდა იქნას არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან სოფლის მეურნეობისათვის უვარგისი მიწები ან ცუდი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები იმ სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით, რომლებსაც აქვთ მიწების გამოყოფის უფლება (მე-14 მუხლი). ამით გარანტირებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მაქსიმალური დაცვა.

პროექტის III თავში დადგენილია მიწათმოსარგებლეთა უფლებები და მოვალეობანი. მიწათმოსარგებლეები უპირველეს ყოვლისა ვალდებული არიან რაციონალურად გამოიყენონ მათთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთები. მიწათმოსარგებლეთა მოვალეობანი სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების დროს დეტალიზებულია პროექტის 56-ე მუხლში.

კონკრეტული მოვალეობანი ეკისრებათ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო ან სხვა მშენებლობას, ამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულს ღია ან მიწისქვეშა წესით, ეწევიან გეოლოგიურ-საძიებო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოებს. ისინი მოვალენი არიან თავიანთ ხარჯზე მიწის ნაკვეთები მოიყვანონ შემდგომში გამოსაყენებლად გამოსადეგ მდგომარეობაში. იმ შემთხვევებში, როცა საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები სამრეწველო ან სხვა მშენებლობის განხორციელების დროს ამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულს ღია წესით, აგრეთვე აწარმოებენ ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს, მოვალენი არიან მოხსნან და შეინახონ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა იმ მიზნით, რომ იგი გამოყენებულ იქნას მიწების რეკულტივაციისა და მცირეპროდუქტიული სავარგულების ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

პროექტით განმტკიცებულია საბჭოთა მიწის კანონმდებლობის მოთხოვნები მიწების დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების შესახებ. პროექტში გათვალისწინებულია კონკრეტული ღონისძიებანი ნიადაგების დასაცავად ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან, დაჭაობებისა და გაჭუჭყიანებისაგან. პროექტის 34-ე მუხლის თანახმად სამრეწველო და სამშენებლო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მოვალენი არიან არ დაუშვან სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწების გაჭუჭყიანება საწარმოო და სხვა ნარჩენებით, აგრეთვე ჩამდინარე წყლებით,

მიწების დაცვის, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების ღონისძიებების განხორციელებისათვის სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს მიწით მოსარგებლეთა მატერიალური წახალისების ზომები.

საფუძვლების მე-14 მუხლის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კოდექსებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც. ამ მითითების შესაბამისად საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტის 36-ე მუხლით, გარდა საფუძვლების მე-14 მუხლში ჩამოთვლილი მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლებისა, დამატებით გათვალისწინებულია მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის შემთხვევები:

1. თუ მოხდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაცია ან მათი საწარმოო პროფილის შეცვლა, რაც იწვევს მიწის ნაკვეთის ოდენობის შემცირებას;
2. თუ სანიტარულ-ჰიგიენური მიზეზების გამო აუცილებელია საწარმოს გადატანა საცხოვრებელი რაიონის ფარგლებს გარეთ;
3. თუ გამოყოფილ მიწის ნაკვეთს გადასცემენ სხვა მიწათმოსარგებლეს სათანადო სახელმწიფო ორგანოს ნებართვის გარეშე.

მიწების რაციონალური გამოყენებისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვის მიზნებს ემსახურება პროექტის მე-6 თავით გათვალისწინებული მიწების ჩამორთმევის წესი. ნაკვეთების ჩამორთმევა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების სარგებლობაში არსებული მიწებიდან, აგრეთვე კულტურული ან სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე მიწებიდან დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში (42-ე მუხლი).

ამ მუხლის შესაბამისად საწარმოები, ორგანიზაციები. და დაწესებულებები, რომლებიც დაინტერესებული არიან არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის მიღებით, ვალდებული არიან საპროექტო სამუშაოების დაწყებამდე წინასწარ შეუთანხმონ მიწათმოსარგებლეებსა და მიწის გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს ობიექტის განლაგების ადგილი და ჩამოსართმევად გამიზნული ფართობის დაახლოებითი ზომა.

პროექტში გატარებულია პრინციპი, რომლის მიხედვით საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებსაც არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის გამოეყოთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ანაზღაურებენ ამ ნაკვეთების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგებს (47-ე მუხლი).

კოდექსის პროექტის მე-9 თავი მიეძღვნა მიწების გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის ამოცანების განსაზღვრას. ყველა მიწის გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები.

პროექტის II კარი შეიცავს იმ სამართლებრივ ნორმების სისტემას, რომლებიც აწესრიგებენ სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენებას. როგორც პროექტის 50-ე მუხლშია აღნიშნული, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად ითვლება ყველა მიწა, რომელიც სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის არის გამოყოფილი ან განკუთვნილია ამ მიზნისათვის.

კოდექსის პროექტი თავის ამოცანად ისახავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვას. ამიტომ მაღალპროდუქტიული მიწების და სავარგულების ფართობების შეცვლა ან მათი გადაყვანა ნაკლებად პროდუქტიულ სავარგულებად დაუშვებელია განსაკუთრებული აუცილებლობის გარდა და ხდება მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. მომდევნო მუხლებში დადგენილია ის წესები, რომელთა მიხედვით შეიძლება მიწათსარგებლობის პირობების შეცვლა. მაგალითად, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მიწათმოსარგებლეებს შორის სახელმწიფო მარაგის და სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწების გადანაწილება ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

კოდექსის პროექტი აწესრიგებს საკოლმეურნეო კომლის, სოფლად მცხოვრები მუშების, მოსამსახურეების, სპეციალისტების, აგრეთვე პენსიონერებისა და ინვალიდების მიწათსარგებლობის საკითხებს.

რსფსრ-ს, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კოდექსებისაგან განსხვავებით, საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტის 71-ე მუხლი დებულებებს, რომლებიც ამომწურავად განსაზღვრავენ საკოლმეურნეო კომლის საკარმიდამო მიწის ნაკვეთების დანიშნულებას. ამ მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი გამოეყოფა საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობების მშენებლობისათვის, ბოსტნის, ბაღისა და სხვა საჭიროებისათვის. საკარმიდამო ნაკვეთი არ შეიძლება სარგებლობისათვის გადაეცეს სხვა პირს და დამუშავებული იქნას დაქირავებული შრომის გამოყენებით.

კოლმეურნეობა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით საკარმიდამო მიწის ნაკვეთს გამოუყოფს ექიმებს, მასწავლებლებს და სოფლის მცხოვრებ სხვა სპეციალისტებს.

საბჭოთა მეურნეობების ან სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაცია საკარმიდამო ან საბოსტნე მიწის ნაკვეთებს გამოუყოფს ექიმებს, მასწავლებლებს ან სოფლად მცხოვრებ სხვა სპეციალისტებს.

რსფსრ-ის მოლდავეთის სსრ, ესტონეთის სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კოდექსებისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტის 78-ე მუხლით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება 0,25 ჰექტარამდე, საქართველოს სსრ ნიადაგების ნაყოფიერების მხედველობაში მიღებით. ამავე მუხლიდან ამოღებულ უნდა იქნას უკანასკნელი აბზაცი, რომელიც ეხება საკარმიდამო სარწყავი მიწების ნორმების განახევრებას.

იმ საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც კოლმეურნეობათა ბაზაზე შეიქმნენ, გათვალისწინებულ უნდა იქნას საკარმიდამო ნაკვეთის იმ ოდენობით შენარჩუნება, რაც კოლმეურნეობაში ყოფნისას ჰქონდა საბჭოთა მეურნეობის მუშას — ყოფილ კოლმეურნეს.

პროექტით განსაზღვრულია საძოვრებისათვის, სათიბისათვის და კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის უფლებრივი რეჟიმი.

კოდექსის პროექტის მე-80 მუხლის თანახმად სოფლად მომუშავე და მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე მასწავლებლებს, ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს, რომლებსაც არა აქვთ საკარმიდამო ნაკვეთები, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების ან საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეთ საბოსტნე ნაკვეთები 0,15 ჰექტარამდე ოჯახზე.

მოქალაქეებს, რომლებსაც ჰყავთ საკუთარი პირუტყვი, საძოვრებისათვის გამოეყოფათ მიწის ნაკვეთები სახელმწიფო მარაგის, სახელმწიფო ტყის ფონდის, ქალაქების, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბების მიწებიდან, აგრეთვე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან.

პროექტის მესამე კარში გათვალისწინებულია დებულებები დასახლებული პუნქტების — ქალაქის, ქალაქის ტიპის დაბის, სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწების გამოყენების შესახებ. 90-ე მუხლის შესაბამისად, მიწა ქალაქის ფარგლებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გამგებლობაშია. ქალაქის ფარგლებს გარეთ გამოიყოფა საგარეუბნო და მწვანე ზონები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა ქალაქის ტერიტორიის გაფართოება, ტყეების, ტყე-პარკების განაშენიანება. ისინი წარმოადგენენ მოსახლეობის დასვენების ადგილს. მწვანე ზონები სპეციალურ დაცვას ექვემდებარებიან.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, სასოფლო დასახლებული პუნქტები თანდათან იქცევიან კეთილმოწყობილ დაბებად. პროექტის 110-ე მუხლის თანახმად, სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწები, რომლებიც განკუთვნილი არიან ამ პუნქტის პერსპექტიული განვითარებისათვის, გაიმიჯნება სხვა მიწებისაგან ამ დასახლებული პუნქტის საზღვრების დადგენის გზით, მათი დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად.

საბჭოთა მიწის კანონმდებლობის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას ხელს შეუწყობს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სადაბო საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების უფლებების გაფართოება საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში. ასე, მაგალითად, სასოფლო დასახლებული პუნქტის ფარგლებში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო ახორციელებს კონტროლს ყველა მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე და იღებს გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ იმ მიწებიდან, რომლებიც არ შედიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწათსარგებლობაში.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო სხვა საწარმოებისათვის მიმაგრებულ მიწებზე საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საწარმოო შენობებისა და ნაგებობების განლაგება წარმოებს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

პროექტში ცალკე თავი აქვს დათმობილი საბინაო-სამშენებლო და სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივების, აგრეთვე მოქალაქეებისათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის საკითხებს.

პროექტის მე-4 კარში განსაზღვრულია მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალების და სხვა არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების უფლებრივი რეჟიმი. აღნიშნული მიზნებისათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმების ან საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, ხოლო ნაკვეთების გამოყოფა ხორციელდება მათი ათვისების რიგის გათვალისწინებით.

პროექტის მე-5 და მე-6 კარები დათმობილი აქვს სახელმწიფო ტყის ფონდის და სახელმწიფო წყლის ფონდის მიწების უფლებრივი რეჟიმის რეგლამენტაციას.

მე-7 კარი აწესრიგებს სახელმწიფო მიწის მარაგის საკითხებს. სახელმწიფო მარაგის მიწები შეიძლება დროებით სარგებლობაში გამოეყოფათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, აგრეთვე მოქალაქეებს.

საბჭოთა საადგილმამულო კანონმდებლობის ისტორიაში საფუძვლებმა პირველად დაადგინეს მიწის კადასტრის შემოღება სავალდებულო წესით. პროექტის მე-8 კარი სწორედ ამ საკითხს ეთმობა. ამჟამად, სამეურნეო რეფორმის გატარების, კოლმეურნეობების სრულ სამეურნეო ანგარიშზე თანდათან გადასვლის პირობებში მიწის ერთიანი კადასტრის შემოღება მეტად საჭირო და აუცილებელი იყო. მას გარკვეული სპეციალიზაცია შეაქვს სოფლის მეურნეობაში, ახდენს რა ტერიტორიულ დარაიონებას და, რაც მთავარია, იცავს მიწების დანიშნულებისამებრ გამოყენების წესებს, მიწათსარგებლობის სტაბილურობას.

პროექტის მე-9 კარში გადაწყვეტილია სახელმწიფო მიწათმოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. სხვადასხვა მუხლებში დეტალიზებულია მიწათმოწყობის ყველა სტადია.

პროექტის მე-10 კარი შეიცავს ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ საადგილმამულო დავებს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის. ამ დავებს წყვეტენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები.

პროექტის 150-ე მუხლი ადგენს ინდივიდუალური ნაგებობების თანამფლობელებს შორის საადგილმამულო დავების გადაწყვეტის წესს, რომლის თანახმად ასეთ დავებს განიხილავს სახალხო სასამართლო.

კოდექსის პროექტის უკანასკნელი, მე-11 კარი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის, ეს პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს მატერიალური, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი. კოდექსის პროექტი ადგენს მიწის კანონმდებლობის დარღვევების ნუსხას. ახალი კანონმდებლობა პასუხისმგებლობას აკისრებს იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც არ უზრუნველყოფენ მიწების დაცვას და მიწების გაუარესებისა და მავნე ნიადაგური პროცესების თავიდან აცილების ღონისძიებათა შესრულებას. თანაც მიწათმოსარგებლეს, რომელიც სისტემატურად არღვევს მიწათსარგებლობის წესებს, პროექტის 155-ე მუხლის თანახმად შეიძლება ჩამოერთვას არასწორად გამოყენებული ნაკვეთი.

ასეთია ზოგადად საქართველოს სსრ მიწის ახალი კოდექსის პროექტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მიწის სამართლებრივი ნორმების გარკვეული სისტემა და რომელიც ეყრდნობა საკავშირო მიწის კანონმდებლობის საფუძვლებს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის დღესასწაულის მაღალ დონეზე ჩატარება, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება იმის ურყევი საწინდარია, რომ საქართველოს მშრომელები საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ მეცხრე ხუთწლედში ახალი დიდი წარმატებანი მოიპოვონ რესპუბლიკის მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში.

ახალი საადგილმამულო კანონმდებლობა ახლებურად და სრულყოფილად განსაზღვრავს სოციალისტური მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის უფლებრივ რეჟიმს, ნიადაგების დაცვის, მათი ნაყოფიერების ამაღლებისა და რაციონალურად გამოყენების საკითხებს. მიწის ახალი კოდექსი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში. (ტაში).

კამათი მოხსენების გამო — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა“

დეპუტატ ა. ა. ძაძუას სიტყვა

სკკპ XXIV ყრილობამ შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების ნათელი პროგრამა.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციების მიერ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად გაშლილმა პოლიტიკურმა და ორგანიზატორულმა მუშაობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში.

პროდუქციის რეალიზაციის დავალება შესრულებულ იქნა 105 პროცენტით, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა — 104,7 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა 10,7 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 8,1 პროცენტით.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ცალკეულ საწარმოთა მუშაობაში არის ნაკლოვანებანი. პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის 6 თვის გეგმები არ შეუსრულებიათ სოხუმის ქიმიურ ქარხანას, სოხუმის ავეჯის ფაბრიკას, ოჩამჩირის რაიმრეწვკომბინატს და ზოგიერთ სხვა საწარმოს. მთელ რიგ საწარმოში არ არის შესრულებული შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმითი დავალებები.

გეგმების შეუსრულებლობის ძირითად მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ უპირველეს ყოვლისა შრომისა და წარმოების ორგანიზაციის დაბალი დონე, აგრეთვე ნედლეულისა და მასალების არასაკმარისი მიწოდება, კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა.

გასულ წელს სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ იქნა ღონისძიებანი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 „ბიჭვინთამშენის“ ტრესტების სიმძლავრეთა გადიდების შესახებ იმ ვარაუდით, რომ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა ყოველწლიურად შეადგენდეს 25-25 მილიონ მანეთს, 10-11 მილიონის ნაცვლად.

ამ ღონისძიებებში გათვალისწინებულია მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნა, კერძოდ, სახლთსაშენებელი კომბინატის, ასფალტ-ბეტონის ქარხნის მშენებლობა, არსებული საამქროებისა და პოლიგონების რეკონსტრუქცია, ინერტული მასალების კარიერების გახსნა, სატრანსპორტო საშუალებათა სპეციალური პარკის შექმნა, მშენებლობათა მაქსიმალური მომარაგება მექანიზმებითა და მოწყობილობებით, მნიშვნელოვანი რაოდენობით საცხოვრებელი ფონდის, საბავშვო დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობა და სხვ.

მაგრამ ზემოაღნიშნული ღონისძიებანი ძალზე ნელი ტემპით ხორციელდება.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს ახალი ხუთწლედის პირველი წლის განვლილი პერიოდი სასოფლო-სამეურნეო წარმოების თითქმის ყველა ძირითად დარგში.

მიუხედავად მიმდინარე წლის გაზაფხულის არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობამ დროულად შეასრულა საგაზაფხულო სამუშაოები მინდვრებსა და პლანტაციებში.

დიდი ორგანიზატორული მუშაობაა გაწეული ჩაის მეურნეობებში. როგორც ცნობილია, წელს ჩაის კრეფა დაგვიანებით დაიწყო, მაგრამ მეჩაიეები ყოველდღიურად აძლიერებდნენ კრეფის ტემპებს, რამაც განაპირობა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების სამი თვის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულება.

წელს რესპუბლიკაში განხორციელდა დიდი ღონისძიებანი საზოგადოებრივ მეცხოველეობაში საქმის ვითარების საგრძნობი გაუმჯობესების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში ყველა რეზერვი და შესაძლებლობანი როდია გამოყენებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის.

დიდი და სასახელო შრომითი ტრადიციების მქონე აფხაზეთის მშრომელები ძალ-ღონეს არ დაზოგავენ, რომ თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში.

დეპუტატ დ. დ. დიასამიძის სიტყვა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მიმდინარეობს საქართველოს მშრომელთა დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა საბჭოთა ხალხის წინაშე. საქართველოს მშრომელები თავდადებით იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის დავალებების წარმატებით შესრულებისათვის. ამის შესახებ დღევანდელ სესიას ვრცლად მოახსენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. დ. ჯავახიშვილმა, რომელმაც ღრმად გააანალიზა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა, ილაპარაკა ამ დარგში არსებულ მიღწევებზე, ამხილა ნაკლოვანებები და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმ ამოცანებზე, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს მიმდინარე წლის გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

აჭარის სამრეწველო საწარმოების კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს 1971 წლის დავალებანი გაანაღდონ 20 დეკემბრისათვის. სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივები წლიურ გეგმას 25 დეკემბრისათვის შეასრულებენ.

1971 წლისათვის განსაკუთრებით დიდი ვალდებულებები იკისრეს აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა.

ახლა მინდა მოგახსენოთ იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება აჭარაში სახელმწიფო გეგმები და ნაკისრი ვალდებულებანი.

მიმდინარე წელს აჭარის სამრეწველო საწარმოებმა სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა 105 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მთლიანი პროდუქციის წარმოებისა — 102 პროცენტით. გასულის წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალიზაცია გაიზარდა 5 პროცენტით, ხოლო წარმოების მოცულობა 2 პროცენტით.

აჭარაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. წარმატებით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება. დღეისათვის მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 25 ათას ტონაზე მეტი მწვანე ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 69 პროცენტს შეადგენს, აჭარის მეციტრუსეები და მეთამბაქოეები არ იშურებენ ენერგიას სახელმწიფო გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. წარმატებით მიმდინარეობს სამუშაოები მევენახეობის, მეხილეობისა და სხვა დარგებში. გადაჭარბებით შესრულდა ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმები.

მაგრამ ჩვენ გვაქვს შეფერხებები მეცხოველეობის პროდუქტებითა და ბოსტნეულით მოსახლეობის მომარაგებაში. საკუთარი წარმოების ბოსტნეულის, ხორცისა და რძის პროდუქტებით აჭარის, კერძოდ ქალაქ ბათუმის, მოსახლეობას ვერ დავაკმაყოფილებთ. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენთან მიწის სავარგულები ძირითადად უკავია ჩაის, ციტრუსებს და თამბაქოს.

ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონების კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს არ აქვთ საშუალება მეცხოველეობისათვის დაამზადონ საკუთარი წარმოების საჭირო რაოდენობის საკვები და იძულებული არიან იგი შემოიტანონ, მაგრამ ეს საქმე არ არის ჯეროვნად მოგვარებული. თივის დამზადება და შემოტანა მინდობილი აქვთ ცალკეულ მეურნეობებს. ეს დიდ სიძნელეებს და ზოგჯერ დანაშაულსაც იწვევს. ვფიქრობ, საჭიროა ეს საკითხი კიდევ ერთხელ იქნეს შესწავლილი და გადაწყდეს ისე, რომ საკვების დამზადება-შემოზიდვას ორგანიზებული ხასიათი მიეცეს.

დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი სესიის გადაწყვეტილებანი დიდად შეუწყობენ ხელს საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას.

დეპუტატ გ. ა. ჭოლოშვილის სიტყვა

თბილისის საქალაქო მეურნეობის 120 ათასიანმა კოლექტივმა წარმატებით დაიწყო მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის სისტემაში შემავალმა სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო, სარემონტო, საექსპლოატაციო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებმა და საწარმოებმა საგრძნობი მუშაობა გასწიეს მიმდინარე წლის გასულ 6 თვეში და გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

ნახევარი წლის დავალებები წარმატებით იქნა რეალიზებული დედაქალაქის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქალაქო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულებაში არის სერიოზული ჩამორჩენა და ნაკლოვანებები.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად სრულდება საცხოვრებელი სახლების და ზოგიერთი სხვა ობიექტის მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

კაპიტალური დაბანდების 6 თვის საერთო დავალება შესრულებულია 90 პროცენტით, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 92 პროცენტით. აქედან ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებისა — 78 პროცენტით.

90,6 პროცენტითაა შესრულებული ძირითადი ფონდების საექსპლოატაციო გადაცემის გეგმა ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ხაზით.

სერიოზული გარღვევაა კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულების საქმეში: ნაცვლად 6 თვის გეგმით გათვალისწინებული 128.000 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლებისა, ფაქტიურად საექსპლოატაციოდ გადაცემულია მხოლოდ 37.000 კვადრატული მეტრი საერთო ფართობი, რაც გეგმის 28,1 პროცენტს შეადგენს, მათ შორის ცენტრალიზებული საბინაო მშენებლობის დარგში დავალება შესრულებულია 30 პროცენტით, არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდების ხარჯზე — 13,8 პროცენტით, ხოლო კოოპერაციული ბინათმშენებლობის ხაზით — 31 პროცენტით. მთელი ეს გარღვევა უმთავრესად საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებზე მოდის.

როგორც მოგეხსენებათ, მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების გაერთიანება „თბილქალაქმშენი“, რომელსაც დაევალა დედაქალაქში საიჯარო სამუშაოების წარმოება და კერძოდ საბინაო მშენებლობა.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ზემდგომი ორგანოების მიერ განხორციელებული ამ ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებაზე. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი დარწმუნებულია რომ „თბილქალაქმშენის“ ახალი კოლექტივი დიდი და დაძაბული მუშაობის შედეგად აღმოფხვრის ზემოთ აღნიშნულ ნაკლოვანებებს.

როგორც ყოველთვის, ამ პერიოდშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა თბილისის წყალმომარაგებას და გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული ამ მიმართულებით. მიუხედავად ამისა, საქართველოს დედაქალაქის წყალმომარაგების საქმე ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ცალკეულ მიკრორაიონებში, განსაკუთრებით, ზაფხულის პერიოდში, მძიმე მდგომარეობა იქმნება.

მიუხედავად მრავალი ღონისძიებების განხორციელებისა, სასმელი და სამეურნეო წყლის რაციონალური ხარჯვის გარეშე შეუძლებელია ქალაქის მოთხოვნილების დაკმაყოფილება. აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ უყაირათოდ არ იხარჯებოდეს სამეურნეო და სასმელი წყალი.

გასული 6 თვის გეგმების შესასრულებლად დიდი სამუშაოებია გაწეული, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებანია სახელმწიფო გეგმების შესრულების საქმეში.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ამასთან დაკავშირებით დასახა ღონისძიებანი და მთელი ყურადღება გადაიტანა საქალაქო მეურნეობის იმ დარგებზე, სადაც არ სრულდება სახელმწიფო გეგმების ზოგიერთი მაჩვენებლები.

დეპუტატ ზ. ნ. გასიევის სიტყვა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელება უდიდეს როლს შეასრულებს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის ეკონომიური და სულიერ განვითარებაში. ამასთანავე იგი თავიდანვე მოითხოვს მუშაობის ზუსტ ორგანიზაციას, მასალათა და ადამიანთა რესურსების მობილიზაციას, მათ ზუსტ და რაციონალურ გამოყენებას. ამ სესიაზე ხუთწლედის პირველი წლის ექვსი თვის პროგრამის შესრულების საკითხის განხილვა ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ რესპუბლიკამ მისთვის დამახასიათებელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი უდიდესი სახალხო-სამეურნეო ამოცანის რეალიზაციას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებისათვის ეს ამოცანები დიდი და რთულია, რადგან სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით გეგმის საკონტროლო ციფრების თვალის ერთი გადავლებით გაცნობაც კი მოწმობს დღემდე უმაგალითო ზრდის ტემპს, რომელიც ძირითადად მნიშვნელოვნად აღემატება საშუალორესპუბლიკურ მაჩვენებლებს მეურნეობის დარგების მიხედვით. მართლაც, ხუთწლედში გათვალისწინებულია სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა 120 მილიონი მანეთიდან გაიზარდოს 230 მილიონამდე, ესე იგი თითქმის ერთიორად.

ასევე სოლიდურად გამოიყურება ცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებების ხარჯზე ძირითადი ფონდების ამოქმედების სურათი.

არანაკლებ მნიშვნელოვან ამოცანებს გადაწყვეტს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დარგში. აქ ისევე, როგორც სამრეწველო წარმოებაში, უწინარეს ყოვლისა დამახასიათებელია კაპიტალდაბანდებათა ზრდა სოფლის მეურნეობის საწარმოო ბაზის გასაფართოებლად. მოფიქრებულია რეორგანიზაცია ცალკეულ მეურნეობათა რაციონალური სპეციალიზაციის მიზნით, თვითეული მათგანისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგებისაგან მოგების მნიშვნელოვანი გადიდება.

გაიზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ისეთ სახეობათა წარმოება, რომლებიც ყველაზე პროდუქტიულია ჩვენს ზონაში, მაგალითად: ხილის, ყურძნის, რძის, მატყლის, კარტოფილისა და სხვათა წარმოება.

ჩემს მიერ მოყვანილი სამხრეთ ოსეთის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლედის მოკლე დახასიათება საკმაოდ დამაჯერებლად გვიჩვენებს იმ დიდ პრობლემებს, რომლებიც დასახულია ოლქის მშრომელთა წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტაში.

(გაგრძელება მე-5 გვ.)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კამათი მოხსენების გამო — „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა"

(გაგრძელება)

ამავე დროს ეს ხუთწლედი მოწმობს, თუ რა დიდ და დაუცხრომელ ყურადღებას უთმობენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჩვენს ოლქში მცხოვრები ეროვნებების საჭიროებებსა და მისწრაფებებს. მოწმობს ამ ორგანოების ჭეშმარიტად კომუნისტურ მიდგომას ჩვენი ოლქის სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ზრდის საკითხებისადმი. ყოველივე ეს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების უთუოდ შესრულების დიდი საწინდარია.

მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ, და განსაკუთრებით ახლანდელ პირობებში კაპიტალური მშენებლობის სწორად დაყენებას. აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქმე არც თუ ისე კარგად მიდის. მიუხედავად კაპიტალდაბანდებათა მნიშვნელოვანი ყოველწლიური ზრდისა, სახსრებს მთლიანად ვერ ვითვისებთ. ასეა მიმდინარე წელსაც. წლის პირველ ნახევარში კაპიტალდაბანდებანი მხოლოდ 70 პროცენტით შესრულდა.

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებაში განხილულ საკითხზე აღნიშნული იქნება, რომ რესპუბლიკის მშრომელებს დიდი წარმატებანი აქვთ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში; იგი მშრომელებს დარაზმავს შემდგომი მიღწევებისათვის.

ჩვენი ოლქის მშრომელები ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს საერთო საქმეში.

დეპუტატ
ვ. ს. ვაშაკიძის
სიტყვა

გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს მშენებლებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში.

დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 236 111 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც 28 ათასი კვადრატული მეტრით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდს. დამთავრდა და მწყობრში ჩადგა საცდელი დანადგარები და საქვაბე რუსთავის ქიმიურ კომბინატში, საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის მშენებლობათა კომპლექსი, პანსიონატი და სანატორიუმი წყალტუბოში, 150-ადგილიანი სასტუმრო ზესტაფონში, საკონსერვო ქარხანა ზუგდიდში, 400-ადგილიანი სანატორიუმი გაგრაში, ლიმონათის ქარხანა ბზიფში, 4000 კვადრატული მეტრი სამრეწველო ფართობი თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანაში და სხვა მრავალი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ობიექტი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში. ჩვენი ძირითადი ამოცანაა დაჩქარდეს და დროულად დამთავრდეს მრავალი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობის და კერძოდ, მეცხოველეობის განვითარებას. ამ მიზნით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა: წისქვილკომბინატის კომპლექსი სოხუმში, ელევატორები ქუთაისში, წნორისა და წითელწყაროში, კომბინირებული საკვების დამზადების წარმოება ქუთაისში და ა. შ.

ამჟამად შენდება ქ. გორის წისქვილკომბინატის კომპლექსი, რომლის ელევატორის სიმძლავრე 50 ათასი ტონაა. მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა გათვალისწინებულია მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო და № 9 ტრესტის კოლექტივი ყველა ღონეს ხმარობენ ამ ობიექტის დროულად ამოქმედებისათვის.

უნდა მოგახსენოთ, რომ მშენებლობის სამინისტროს უმეტესმა ორგანიზაციებმა პირნათლად შეასრულეს საწარმოო გეგმები, მაგრამ ჯერ კიდევ გვყავს ცალკეული ორგანიზაციები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს ექვსი თვის დავალებათა შესრულება, რის შედეგადაც სამინისტრომ 6 თვის პროგრამის შესრულებას დააკლო 3 პროცენტი. ჩვენ ვღებულობთ საჭირო ზომებს, რათა სამინისტროს ყველა ორგანიზაციამ იმუშაოს რიტმულად და შეასრულოს ხუთწლედის პირველი წლის დავალებანი.

მშენებლობის სამინისტრომ წელს უნდა შეასრულოს 296,5 მილიონი მანეთის სამუშაოები, საექსპლოატაციოდ გადასცეს 776 ათასი კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი, 21.841 მოსწავლისა და აღსაზრდელისათვის გათვალისწინებული 62 სკოლა და 27 საბავშვო ბაღი, 1.730-საწოლიანი 6 საავადმყოფო და ბევრი საწარმოო და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტი.

როგორც ხედავთ, საქმე არც ისე ცოტაა გასაკეთებელი, ეს კი მოითხოვს მეტ ყურადღებას მშენებლობის სამინისტროსადმი, იმ უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან, რომელთაც კავშირი აქვთ მშენებარე ობიექტებთან.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ რესპუბლიკის მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივი წარმატებით იშრომებს მეცხრე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესასრულებლად, პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

დეპუტატ
ზ. დ. ჯიბლაძის
სიტყვა

ქუთაისელი მშრომლები, მთელი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ქალაქის მრეწველობამ მე-9 ხუთწლედის პირველი წლის 6 თვის გეგმა შეასრულა ვადაზე ადრე 104,4 პროცენტით.

ჩვენთან ბევრი რამ კეთდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური წარმოების ფეიქრებმა საბჭოთა კავშირში პირველად დანერგეს ნატურალური აბრეშუმის კრეპის გახამების მეთოდი, ამასთან ერთად წარმატებით იქნა ათვისებული ყველა სახეობის ხელოვნურ აბრეშუმზე მთელი რიგი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესი, რამაც 129 პროცენტით გაზარდა შრომის ნაყოფიერება და საგრძნობლად აამაღლა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად ჩვენს წარმოებაში საგრძნობლად გაიზარდა დაზგა-საათის ნაყოფიერება.

ჩვენმა წარმოებამ წარმატებანი მოიპოვა სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში, რისთვისაც ჩვენი კოლექტივი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა, ხოლო კოლექტივის 48 მუშაკმა დაიმსახურა მთავრობის მაღალი ჯილდოები, ორდენები და მედლები.

ასეთმა დიდმა დაფასებამ ქუთაისელ ფეიქრებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. მოსკოვის მოწინავე საწარმოების პატრიოტული თაოსნობის პასუხად კოლექტივმა იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

ვალდებულების აღებიდან არცთუ ისე დიდი დრო გავიდა, მაგრამ მუშაობის პირველი შედეგები საფუძველს გვაძლევენ განვაცხადოთ, რომ ის წარმატებით შესრულდება.

პირადად მე მიმდინარე წლის 6 თვეში გამოშვებული მაქვს 21.115 მეტრი ხამი აბრეშუმის ქსოვილი, ნაცვლად 17.820 მეტრისა. ეს კი ნიშნავს ხუთდღიურის 4 დღეზე ნაკლებ დროში შესრულებას.

სესიას უნდა მოვახსენო, რომ ასეთი მიღწევები ჩვენთან არა მარტო მქსოველებს, არამედ ბევრი სხვა პროფესიის მუშებსაც აქვთ.

დეპუტატ
ა. ვ. გლუხარევის
სიტყვა

ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ქალაქის — რუსთავის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა რაც შეიძლება უკეთ შეასრულონ კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის პროგრამა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დაგვისახა.

სიხარულით შემიძლია მოვახსენო დღევანდელ სესიას, რომ ჩვენი ქალაქის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში.

პროდუქციის რეალიზაციის მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის პირველი ნახევრის გეგმა ქალაქ რუსთავის მრეწველობამ შეასრულა 100,9 პროცენტით, ხოლო მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა — 100,8 პროცენტით. წლის პირველ ნახევარში მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 9,5 მილიონი მანეთით და რეალიზებულია 8 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე 1970 წლის შესაბამის პერიოდში.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება ქალაქის სამრეწველო საწარმოებში.

სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში თავი გამოიჩინეს მეტალურგიული და ამწესაშენებელი ქარხნების სახელოვანმა კოლექტივებმა.

მე, როგორც მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის კოლექტივის წარმომადგენელს, მახარებს წარმატებანი, რომლებიც მოიპოვეს ჩვენი ქალაქის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა. ქიმიურ კომბინატში საექსპლოატაციოდ გადასცეს მანგანუმის ქვეჟანგის ჰიდრატისა და მანგანუმის ელექტროლიზური ორჟანგის წარმოების საცდელ-სამრეწველო დანადგარი, მესამე ქვაბაგრეგატი. ამავე პერიოდში ქალაქში საექსპლოატაციოდ გადასცეს 30 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ამასთან ერთად ცალკეულმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს საგეგმო დავალებანი.

პარტიის საქალაქო კომიტეტი, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი, სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა შესრულდეს მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალებანი.

წელს რუსთავის მშრომელთა წინაშე დასახულია დიდი და პასუხსაგები ამოცანები. გათვალისწინებულია, რომ მთლიანი პროდუქციის მოცულობა გასულ წელთან შედარებით 2 მილიონი მანეთით და მეტად გაიზარდოს, ხოლო პროდუქციის რეალიზაცია — 1,9 მილიონი მანეთით. მიმდინარე წელს უნდა ამუშავდეს ქიმიურ კომბინატში ციანოვანი მარილების წარმოება, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში — დამატებითი სიმძლავრეები, ალაოს ქარხანა. დიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს მეტალურგიული და ამწესაშენებელი ქარხნების გასაფართოებლად, აგრეთვე რკინა-ბეტონის საკედლე დიდი ზომის პანელების ქარხნისა და პურის ქარხნის მშენებლობისათვის.

წლის დამლევამდე საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ 60 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 15 აგვისტოსათვის დამთავრდება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მშენებლობა, უნდა დამთავრდეს მთელი რიგი კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა.

რუსთავის მშრომელებმა მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების მაგალითისამებრ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება 1971 წლის სახელმწიფო დავალებებისა და სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ნება მიბოძეთ ქალაქის მშრომელთა სახელით პირობა მივცე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას, რომ წარმატებით შევასრულებთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს.

დეპუტატ
ვ. ზ. თოხაძის
სიტყვა

სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული მიმდინარე ხუთწლედის მთავარი ამოცანის განხორციელების საქმეში დიდი როლი ეკისრება საბჭოთა ვაჭრობას, რომელმაც დროულად და შეუფერხებლად უნდა მიაწოდოს მყიდველს სახალხო მოხმარების საქონელი.

იმ მიზნით, რომ საქონელბრუნვა უფრო მეტად შეესაბამებოდეს მოსახლეობის ფულადი შემოსავლის ზრდას, მიმდინარე ხუთწლედში საქონელბრუნვის ზრდის ტემპი ჩვენს რესპუბლიკაში უფრო მაღალი იქნება, ვიდრე მთლიანად სსრ კავშირში. ამიტომ საქონელბრუნვა 1971 წელს უდრის 2 მილიარდ 440 მილიონ მანეთს. პირველი ექვსი თვის გეგმა საქართველოში შესრულებულია 101,1 პროცენტით, ხოლო დამატებითი დავალების ჩათვლით — 100,3 პროცენტით. ამასთან საქონელბრუნვის ზრდის ტემპი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შეფარდებით 8,2 პროცენტით გაიზარდა.

მაგრამ არახელსაყრელმა კონიუნქტურულმა პირობებმა გავლენა მოახდინა საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე მეორე კვარტალში.

შეინიშნება მოსახლეობის მოთხოვნილების მკვეთრი შემცირება ზოგიერთ სამრეწველო საქონელზე — ძირითადად დაბალი ხარისხისა და შეზღუდული ასორტიმენტის გამო.

საქონლის დაბალი ხარისხისა და სტანდარტების უხეში დარღვევების გამო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო იძულებული იყო აეკრძალა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ცალკეული საწარმოებიდან ზოგიერთი საქონლის მიღება ან დაეწესებინა მათი მიღების მკაცრი რეჟიმი. ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივი კვების განვითარების საკითხებს.

უკანასკნელ ხანებში მუშაობა გააუმჯობესეს საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა. ამაღლდა მომსახურების კულტურა, ბევრ ქარხანასა და ფაბრიკაში მოწესრიგებულია მუშათა კვება. მაგრამ მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში კვების ობიექტებს ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება.

არასაკმარისია დიეტური და საერთო სარგებლობის სასადილოების ქსელი ქალაქებში, ხოლო ზოგი საზოგადოებრივი კვების სპეციალიზებული საწარმოს პროფილი დარღვეულია. არ არის აღმოფხვრილი მომხმარებელთა არადამაკმაყოფილებელი მომსახურების შემთხვევები.

აუცილებელია საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებას მეტი ყურადღება მივაქციოთ.

ჩვენ ვთხოვთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს კიდევ უფრო გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვებისადმი. რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები ყველაფერს გააკეთებენ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა გაამართლონ ის დიდი ნდობა და მზრუნველობა, რასაც პარტია და მთავრობა იჩენენ ვაჭრობის მუშაკებისადმი.

დეპუტატ
ვ. ა. კოჩორიანის
სიტყვა

თითქმის ერთი თვის წინათ ჩვენსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. არჩევნებმა, რომლებიც მიმდინარეობდა მშრომელთა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში, კვლავ ცხადყვეს პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობის ძალა, კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის სრული გამარჯვება.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პარლამენტის ახლად არჩეული შემადგენლობა შეიკრიბა თავის პირველ სესიაზე და იხილავს ძალიან დიდმნიშვნელოვან საკითხს თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმები.

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება და ჩემს წინ გამოსული ამხანაგების სიტყვები მოწმობენ, რომ რესპუბლიკამ აიღო კარგი სტარტი ახალი ხუთწლედის პირველ წელს. ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ახალქალაქის რაიონის მშრომელთა საქმიანობაზე.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს მერვე ხუთწლედის დავალებანი, მნიშვნელოვნად გადიდდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, განმტკიცდა მეურნეობათა ეკონომიკა. სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა რაიონის მშრომელებმა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, ახალი შრომითი მაჩვენებლებით დაიწყეს მეცხრე ხუთწლედის პირველი წელი. 1971 წლის 1 ივლისისათვის, ესე იგი ნახევარ წელიწადში, სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმები შესრულდა 148,7 პროცენტით, ანუ გეგმით გათვალისწინებული 6.590 ცენტნერის ნაცვლად მიყიდულია 9.801 ცენტნერი, რძე — 68 ათასი ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 52 ათასი ცენტნერისა, კვერცხი — 577 ათასი ცალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 140 ათასისა, მატყლი — 1.161 ცენტნერი და სხვა.

წინა წლებთან შედარებით უფრო კარგად მოეწყო რაიონში საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, ამჟამად სწრაფად მწიფდება მარცვლეული და კარტოფილი, კარგ მოსავალს მოველით. ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ წარმატებით შევასრულებთ 1971 წლის გეგმას.

თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის ზოგიერთ მიღწევას, სადაც გამგეობის თავმჯდომარედ ვმუშაობ. ჩვენმა მეურნეობამ ხუთწლედი ვადამდე, მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა. მოგების ხარჯზე ამ ბოლო წლებში კოლმეურნეობამ ააშენა 400-ადგილიანი კლუბის ტიპობრივი შენობა, რომლის ღირებულება 200 ათასი მანეთია, ორსართულიანი სკოლა, აგრეთვე აბანო, წყალსადენი, პირუტყვის სადგომები და საწყობები.

ყველა კოლმეურნე ახლა მიწურების ნაცვლად ცხოვრობს ქალაქის ტიპის ნათელ სახლებში. ხუთ წელიწადში გავახარეთ 15 ათასი ხილისა და დეკორატიული ხე. ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის წევრები ყოველ ღონეს ხმარობენ რათა განუხრელად შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები. კოლმეურნეობამ ნახევარი წლის გეგმები შეასრულა — ხორცის დამზადებისა 200 პროცენტით, რძისა — 170 პროცენტით, მატყლისა — 150 პროცენტით. რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოყვანილია საკვები კულტურების უხვი მოსავალი. ახლა მთავარია საკვები კულტურები ავიღოთ დროულად და უდანაკარგოდ. ეჭვი არ არის, რომ სოფლის მშრომელები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ ამ ამოცანის გადაწყვეტას.

დეპუტატ
შ. ი. ბასილაშვილის
სიტყვა

გურჯაანის რაიონის სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია დიდი მუშაობა ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. წელს წინა წლებთან შედარებით რაიონში უკეთესად დამუშავდა ერთწლოვანი კულტურების ნათესები. შეუფერხებლად მიმდინარეობს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება, პირუტყვისათვის საკვების დამზადება. მარცვლეულის და საკვების წარმოების გეგმა სრულდება. მთავრდება ძირითადი სამუშაოები ვენახებში, რომლის მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

მინდა სესიას მოვახსენო, რომ რაიონში საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ ჯერ კიდევ ჩამორჩენილ დარგში — მეცხოველეობაში არსებულ ნაკლოვანებათა დასაძლევად. სულ უფრო უმჯობესდება საზოგადოებრივი პირუტყვის კვება, მოვლა-შენახვა და მოშენება. ნახევარი წლის შედეგებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შესრულებულია 113,5 პროცენტით, ღორის სულადობისა — 103,1 პროცენტით, ცხვრისა — 153,2 პროცენტით. განვლილ 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაზრდილია ხორცის წარმოება 11 პროცენტით, რძის წარმოება — 8,1 პროცენტით, კვერცხის წარმოება — 27,5 პროცენტით. წარმოების ზრდის კვალობაზე წარმატებით სრულდება რაიონში მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმები.

კარგი მაჩვენებლები აქვს ჩვენს მრეწველობასაც. რაიონში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პირველი ივლისისათვის მთლიანი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 22,2 პროცენტით. ამასთან წარმატებით შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა. რაიონის 17 სამრეწველო საწარმოდან თექვსმეტმა ვადამდე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის პროგრამა.

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაშვებული იყო სახსრების უყაირათო და არამიზნობრივი ხარჯვა, რის გამოც ამ დღეებში იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სავსებით სამართლიანი მითითებები მოგვცა. გამოვლინებულია დარღვევები და ნაკლოვანებები აგრეთვე ქალაქ გურჯაანის განაშენიანების, მიწათსარგებლობის წესების დაცვის საქმეში. ვსარგებლობ შემთხვევით და აღვუთქვამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს მთავრობას, რომ რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, ადგილობრივი სამეურნეო ორგანოები, ჩვენი პარტიული ორგანიზაციები მეტი პრინციპულობით იმუშავებენ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

დასასრულს ნება მიბოძეთ გამოვხატო გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივების, ყველა დეპუტატის მზადყოფნა იმ კონკრეტული ამოცანების შესრულებისათვის, რასაც დღევანდელი სესია დაგვისახავს.

დეპუტატ
თ. ნ. ახალაძის
სიტყვა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები — მისი გმირი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, მოწინავე ინტელიგენცია — სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებსა თუ საკოლმეურნეო მინდვრებში ყოველთვის გვიჩვენებდნენ შრომითი გმირობის შესანიშნავ მაგალითებს. ასეა დღესაც.

ჩვენი რესპუბლიკის ამ მიღწევებში დიდია მახარაძის რაიონის მშრომელთა წვლილი — მათ სასახელოდ გაანაღდეს სამშობლოს წინაშე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

ჩვენი მეჩაიეები დიდი ამოცანების წინაშე დგანან მიმდინარე წელს — მეცხრე ხუთწლედის პირველ წელს. მათ ხომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის წინაშე იკისრეს მიმდინარე ხუთწლედში მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 300 ათასი ტონა „მწვანე ოქრო".

1971 წელს ჩვენ უნდა მოვკრიფოთ 44 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ყრილობისადმი მიცემული სიტყვის შესრულება რაიონების მეჩაიეების უდიდეს შრომასა და ენერგიას მოითხოვს. მართლაც, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წელს უკვე მოიკრიფა და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარდა 26.075 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მაის-ივნისის გეგმა შესრულდა 22 ივნისისათვის, წლიური გეგმა განაღდებულია 62 პროცენტით.

მარტო ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს", სადაც მე ვმუშაობ, მეჩაიეებმა წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 805 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 57.4 პროცენტს შეადგენს. სასახელო მაჩვენებლები აქვს ჩვენს ბრიგადას, სულ დღეისათვის მოკრეფილია 58 ტონა. ხოლო პირადად მე დაპირებული 0,5 ჰექტარზე მივიღე 2.650 კილოგრამი.

ვფიქრობ, წლის ბოლომდე ეს ციფრი ავიყვანო 5.000 კილოგრამამდე, აგრეთვე სახელმწიფოს ჩავაბარო 52 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. რაიონის მეჩაიეებს ღირსეულად უდგანან მხარში მეციტრუსეებიც.

წარმატებით შესრულდა ახალი პლანტაციების გაშენების გეგმაც. გადაჭარბებით განაღდდა აგრეთვე ხილის, ყურძნის, ტუნგის ნაყოფისა და სხვათა მოსავლიანობისა და სახელმწიფო შესყიდვის დავალებანი.

წარმატებებია მოპოვებული მესიმინდეობის და მეცხოველეობის დარგში.

გვეამაყება, რომ რაიონის მშრომელთა თავდადებული შრომა ესოდენ შეაფასეს პარტიამ და მთავრობამ. სულ ახლახან 250-ზე მეტ მახარაძელს მიენიჭა პარტიისა და მთავრობის მაღალი ჯილდოები.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო პარტიასა და მთავრობას იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც ისინი იჩენენ სოფლის მშრომელებისადმი.

მე ჩემი მხრივ ყველაფერს ვიღონებ, რომ გავამართლო ამომრჩევლების დიდი ნდობა, პირნათლად შევასრულო დეპუტატის მაღალი წოდება.

დეპუტატ
ა. თ. გუმბათოვის
სიტყვა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ, სხვა საკითხებთან ერთად, განსახილველად გამოიტანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა", რომელიც მოიცავს რესპუბლიკის ეკონომიური ზრდისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მთავარ პრობლემებს.

სიხარულით და სიამაყით აღვნიშნავთ, რომ მერვე ხუთწლედი საქართველოს მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს სახალხო მეურნეობის ყველა ძირითად დარგში.

განვლილ ხუთწლედში დმანისის რაიონის მშრომელებმა, რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანეს სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობაში, რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების საქმეში.

1970 წელს 1966 წელთან შედარებით მარცვლეულის წარმოება გადიდდა 9 ათასი ცენტნერით, ხოლო კარტოფილისა — ერთიორად და მეტად. თუ 1966 წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 7.400 ცენტნერი მარცვლეული, 1970 წელს ჩაბარებულია თითქმის 16 ათასი ცენტნერი, ესე იგი ერთიორად და უფრო მეტი, ხოლო სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვა 1966 წლის 2.600 ტონიდან გადიდდა 8.812 ტონამდე 1970 წელს.

წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლები უკვე ცხადყოფენ, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა არცთუ ცუდი სტარტი აიღეს ახალი ხუთწლედის პირველ წელს.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით. მიღწეულია სარძევე ჯოგის პროდუქტიულობის ზრდა. 1970 წლის პირველ ნახევართან შედარებით თვითეული ძროხის წველადობა 90 ლიტრით გადიდდა. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა რაიონში შესრულებულია 122 პროცენტით, ამასთან გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიყიდულია 4.001 ცენტნერით მეტი, ხოლო ნახევარი წლის გეგმასთან შედარებით მიყიდულია 700 ცენტნერით მეტი რძე.

მთლიანად და გადამეტებით შესრულდა მატყლისა და ტყავის ნედლეულის შესყიდვის დავალება.

მე ვმუშაობ ვაკის მერძევეობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის № 2 სარძევე ჯოგის ბრიგადირად. ჩვენი საბჭოთა მეურნეობა სპეციალდება, როგორც თვით საბჭოთა მეურნეობის სახელწოდება მოწმობს, რძის, ხორცისა და კარტოფილის წარმოებაზე, ამასთან ერთად გვაქვს მარცვლეულის მეურნეობაც.

1970 წელს საბჭოთა მეურნეობამ არცთუ ცუდი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვა. ამ წელს რძის წარმოება და სახელმწიფოსათვის ჩაბარება შეადგენდა 14.112 ცენტნერს გეგმით გათვალისწინებული 12.150 ცენტნერის ნაცვლად, ესე იგი საგეგმო დავალება 116 პროცენტით შესრულდა. თითო ძროხის საშუალო წველადობა შეადგენდა 1.702 კილოგრამს გეგმით გათვალისწინებული 1.594 კილოგრამის ნაცვლად, ხოლო ჩემს ბრიგადაში თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მივიღეთ 1.913 კილოგრამი რძე.

მოწეულია მარცვლეული კულტურების, ბოსტნეულისა და კარტოფილის კარგი მოსავალი, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფოსათვის ამ სასურსათო კულტურების ჩაბარების საგეგმო დავალებათა მნიშვნელოვანი გადამეტებით შესრულებას.

ვაკის საბჭოთა მეურნეობა დაარსების დღიდან ყოველთვის მოგებით ამთავრებს თავის სამეურნეო წელს.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების მხრივ 1971 წლის პირველ ნახევარში საბჭოთა მეურნეობამ საკმაოდ კარგ მაჩვენებლებს მიაღწია.

ნება მიბოძეთ აღვუთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას, რომ ჩვენი რაიონის მშრომელნი ძალღონეს და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა წარმატებით შეასრულონ ახალი ხუთწლედის საგეგმო დავალებანი.

დეპუტატ
გ. ე. კვაშილავას
სიტყვა

ქალაქ ფოთის მშრომელები ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების მხარდამხარ მთელი ენერგიით იბრძვიან პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ დიად ამოცანათა განხორციელებისათვის, მთელ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარენ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესრულებას.

ქალაქის მრეწველობამ წარმატებები მოიპოვა მეცხრე ხუთწლედის პირველ ექვს თვეში.

ფოთის საწარმოებში დიდ ყურადღებას აქცევენ მოწინავე მეთოდების დანერგვასა და მექანიზაციის დონის ამაღლებას. ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანაში დაინერგა ალუმინის და მაგნიუმის შენადნობის კონტაქტური შედუღება. ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხანაში აითვისეს დღის ნათურების წარმოება, წისქვილკომბინატში მწყობრში ჩადგა პირველი ხარისხის ვიტამინიზირებული ფქვილის ავტომატური ხაზი. უკანასკნელ დროს საწარმოებში მკვეთრად გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესები, ამაღლდა მუშათა კვალიფიკაცია.

ქალაქში დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამედიცინო მომსახურების საქმეს.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში. მაგალითად № 11 სამშენებლო ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველო ვერ ასრულებს საგეგმო დავალებებს. აქ ჯერ კიდევ დაბალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. საპროექტო ორგანიზაციები ვერ უზრუნველყოფენ ტექნიკური დოკუმენტაციის დროულად და ხარისხიანად შედგენას. მოუგვარებელია სამშენებლო მასალებით, განსაკუთრებით ხე-ტყით მომარაგების საქმე. ქალაქის წყალსადენის ქსელის და სამარაგო აუზების მშენებლობა, რომელიც გასულ ხუთწლედში უნდა დამთავრებულიყო, ზემოთაღნიშნული სამშენებლო სამმართველოს მიზეზით დღემდე დაუმთავრებელია. მათივე მიზეზით ქარხანა „ფოთიელექტროაპარატში" დამთავრებული არ არის საინჟინრო კორპუსის და თბოქსელის მშენებლობა.

მინდა სესია დავარწმუნო, რომ ქალაქ ფოთის მშრომელები ყველაფერს გააკეთებენ პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად და უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განაღდებას.

დეპუტატ
მ. ფ. ჩხეიძის
სიტყვა

პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ 1971-75 წლებში სასაქონლო პროდუქციის გამოშვება უნდა გაადიდოს 302 მილიონი მანეთით, ხუთწლედის ბოლომდე უნდა აწარმოოს 1 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. გათვალისწინებულია ზრდა: ქსოვილების გამოშვებისა 37,3 პროცენტით, ხალიჩებისა — 61 პროცენტით, ტრიკოტაჟის საცვლებისა — 31 პროცენტით, ზედა ტრიკოტაჟისა — 52 პროცენტით, ფეხსაცმლისა — 5,7 პროცენტით, სამკერვალო ნაწარმისა — 33 პროცენტით. საფეიქრო-საგალანტერიო ნაწარმის გამოშვება გაიზრდება თითქმის 6-ჯერ ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის სიმძლავრეების მთლიანად საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად.

მეცხრე ხუთწლედში განსაზღვრულია თორმეტი ახალი ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა, ასევე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 118 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის მუშა-მოსამსახურეებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ სიძნელეებია წარმოების რიტმულად მომარაგების საქმეში, აგრეთვე გვაკლია მუშახელი, სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს 101,5 პროცენტით, მაგრამ მეცხრე ხუთწლედში სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების ზრდა წარმოუდგენელია პროდუქციის ხარისხის ამაღლების, საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილების გარეშე.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს მაღალხარისხოვან სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმზე, ფეხსაცმელზე, ქსოვილებზე და სხვ. ასორტიმენტის განახლება ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ამასთან დაკავშირებით მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობაზე სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული, ხოლო ყრილობამდე კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალურად განიხილა ტყავფეხსაცმელის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის საკითხი, დასახა გზები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. სამინისტრომ საწარმოებში გააჩაღა ბრძოლა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, რეზერვების გამოვლინებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის.

მომავალში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი უნდა გადავწყვიტოთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ საქმეში კვლავაც გაგვიწევენ ყოველდღიურ დახმარებას საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ვადამდე გაანაღდებს ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, გადაჭარბებით შეასრულებს ხუთწლედის გეგმებს ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ყოველ ღონეს იხმარს, რათა უახლოეს მომავალში აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებები.

დეპუტატ
ა. ე. ჭითანავას
სიტყვა

სკკპ XXIV ყრილობაზე თავის მკაფიო სიტყვაში ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ გამოთქვა რწმენა, რომ ქართველი მეჩაიეები აწონ-დაწონიან თავიანთ შესაძლებლობებს და აიღებენ კურსს იქითკენ, რომ ხუთწლედის ბოლოსათვის მისცენ ქვეყანას 300 ათასი ტონა ნედლეული.

300 ათასი ტონა ჩაისათვის ლაშქრობის პირველ ინიციატორებად მახარაძელი მშრომელები გამოვიდნენ. ამ პატრიოტულმა თაოსნობამ მხურვალე მხარდაჭერა პოვა ზუგდიდის რაიონში. ზუგდიდელმა მეჩაიეებმა მახარაძელთა მაგალითისამებრ იკისრეს მეცხრე ხუთწლედში სამშობლოს მისცენ 180.765 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 152.820 ტონის ნაცვლად.

მიმდინარე წელს კი ნაკისრია 32.760 ტონა ჩაის მოკრეფა, რაც სახელმწიფო დავალებაზე 2.400 ტონით მეტია.

მიმდინარე წელს ჩაის ფოთლის კრეფა დაგვიანებით დაიწყო, მაგრამ რაიონმა უკვე 14 ივნისისათვის შეასრულა ჩაის კრეფის მაის-ივნისის გეგმა, მანქანებით მოიკრიფა 3500 ტონა ჩაი. დღეისათვის წლიური გეგმა შესრულებულია 69,2 პროცენტით, ამ საქმეში ისევე, როგორც შარშან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ლენინის ორდენოსანი ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა წარმატება. აქ უკვე მოიკრიფა 1900 ტონა ჩაი. მანქანებით კი მოკრეფილია 1300 ტონა, აქედან 72 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ინგირელთა წარმატება გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა, მეურნეობაში მოწყობილი რომ იყოს სრულყოფილი სარწყავი სისტემა. დღეისათვის კი პლანტაციების რწყვა წარმოებს მოდიფიცირებული ტრაქტორებით, რაც ნაკლებ ეფექტიანია. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მეურნეობაში მოეწყოს მორწყვის სტაციონარული სისტემა.

ამასთანავე 1966-1970 წლებში საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კალენდარული გეგმით უნდა შესრულებულიყო ჩაის პლანტაციების სარწყავი სისტემების მშენებლობა ხეცერის, ნარაზენის, ონარიის და ზედაეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, რუხის, ინგირის, შამგონის, ურთის და სხვა კოლმეურნეობებში, სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ამ ობიექტების ტექნიკური დოკუმენტაცია, აღნიშნული სამუშაოები მერვე ხუთწლედში არ დამთავრებულა. მათი დამთავრება მიმდინარე ხუთწლედში ხელს შეუწყობს ჩაის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლებას.

ახალი ხუთწლედის პირველ წელს დიდ წარმატებას აღწევენ რაიონის სამრეწველო საწარმოები. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შესრულდა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით.

ჩაის ფაბრიკების კოლექტივებმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთეს ჩაის ნედლეულის შეუფერხებელი მიღებისა და გადამუშავებისათვის.

პირობას ვაძლევთ სესიას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით ზუგდიდის რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი მთელ თავიანთ ენერგიას მოახმარენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეს, მეცხრე ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით განხორციელების საქმეს. (საქდესი).

სესიის დარბაზიდან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები (მარცხნივ) ინგურის ქაღალდის კომბინატის მბეჭდავი ლ. მანია, თბილისის საელმავლო ვაგონშემკეთებელი ქარხნის ბრიგადირი გ. ჩადუნელი, თბილისის ცენტროლიტის ქარხნის ბრიგადირი გ. კურტანიძე, ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის მრთველი ჯ. მიმინოშვილი, ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მეაპარატე ქ. ზრებაძე. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მსოფლიოს ამბები

ერთობლივი წვრთნა

პრაღა, 13 ივლისი. (საქდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის გეგმის შესაბამისად 5-12 ივლისს ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ტერიტორიაზე გაიმართა სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის ჯარების ერთობლივი წვრთნა.

წვრთნაში მონაწილეობდნენ საბჭოთა არმიის, პოლონეთის ჯარისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის ჯარები.

წვრთნამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი მ. ძური, ხელი შეუწყო მოკავშირეთა ჯარების შეთანხმებული მოქმედების მეთოდების სრულყოფას, აგრეთვე მოძმე არმიების საბრძოლო მეგობრობის განმტკიცებას.

მდგომარეობა მაროკოში

რაბათი. 12 ივლისი. (საქდესი). მაროკოში სახელმწიფო გადატრიალების ცდასთან დაკავშირებით მეფე ჰასან II მოაწყო საგანგებო პრეს-კონფერენცია. მან თქვა, რომ ჩაფუშულ შეთქმულებას მეთაურობდა უმაღლეს ოფიცერთა ჯგუფი.

მათ შორის იყვნენ მეფის სამხედრო კაბინეტის დირექტორი გენერალი მედბუჰი, სამხედრო ოლქის უფროსი ბუგრინი, სამხედრო სასწავლებელთა უფროსები და სხვ.

მეფემ განაცხადა, რომ შეთქმულების ორგანიზატორთა სრული სია მოგვიანებით გამოქვეყნდება.

შეეხო რა შეთქმულების ხასიათს, მეფემ თქვა, რომ ეს არმიის ამბოხება კი არ ყოფილა, არამედ იყო „მეამბოხეთა ჯგუფის“ აქცია. შეთქმულებმა თქვა მან, ხელთ იგდეს რაბათის რადიოსადგური და ნაჩქარევად გამოაცხადეს ჩემი დაღუპვა.

მეფემ გამოაქვეყნა წერილი ერისადმი, რომელშიც აფრთხილებს ოპოზიციურ პოლიტიკურ და პროფკავშირულ მოღვაწეებს.

რაბათი. 12 ივლისი. (საქდესი). დღეს რაბათში დაკრძალეს სამხედრო ამბოხების მსხვერპლნი. როგორც მაროკოს პრესის სააგენტო იუწყება, დედაქალაქსა და მის გარეუბნებში ჩააქრეს მეამბოხეთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერები.

ამანიდან რაბათში ვიზიტად ჩამოვიდა მეფე ჰუსეინი. ეს ვიზიტი დაკავშირებულია მაროკოს უკანასკნელ ამბებთან.

რაბათი, 13 ივლისი. (საქდესი). მაროკოს დედაქალაქი სახელმწიფო გადატრიალების ცდის შემდეგ თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა.

გაიხსნა მაღაზიები, კაფეები და რესტორნები, ნორმალურად მუშაობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი, განაახლეს მუშაობა კინოთეატრებმა.

ქალაქის ქუჩებიდან გაიყვანეს ტანკები და ჯავშნიანი მანქანები. პატრულები რჩებიან მხოლოდ მთავრობის დაწესებულებებთან.

რაბათში გაიმართა სამხედრო ამბოხების მსხვერპლთა — სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის გენერალ დრის ნმიშისა და 19 სხვა უმაღლესი თანამდებობის ოფიცრის დაკრძალვა.

ქვეყნის უდიდეს ქალაქ კასაბლანკაში ყველა ადმინისტრაციული ფუნქცია იკისრეს ჯარებმა, რომლებიც იქ შეიყვანეს მეფის განკარგულებით, კასაბლანკის ნავსადგური დაიხურა, ქალაქში და ქალაქიდან მიმავალ ტრანსპორტს მკაცრად ამოწმებენ. ჯარის სპეციალურმა ქვედანაყოფებმა გაჩხრიკეს ნავსადგურში მდგომი ყველა გემი.

რაბათი, 13 ივლისი. (საქდესი). მაროკოს ინფორმაციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ დღეს დახვრიტეს მარცხით დამთავრებული სახელმწიფო გადატრიალების 10 ხელმძღვანელი. დასჯილთა შორის არიან 4 გენერალი და სხვა უმაღლესი თანამდებობის არმიის ოფიცერი.

პარიზი, 13 ივლისი. (საქდესი). დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოთა ცნობებით, გუშინ მაროკოს არმიის ქვედანაყოფი შეიჭრა ლიბიის რაბათის საელჩოს ტერიტორიაზე. ლიბიის დიპლომატები შინაპატიმრობაში იმყოფებიან, ლიბიის საელჩოს დოკუმენტები წაიღეს მაროკოს ხელისუფლებმა და ამოწმებენ მათ. საელჩოსთან გაწყდა ტელეფონის კავშირი.

მთავრობის განკარგულება

ბონი. 13 ივლისი. (საქდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ განკარგულება მისცა ფედერაციული რესპუბლიკის უწყებებსა და დაწესებულებებს ამიერიდან მეორე გერმანულ სახელმწიფოს ოფიციალურად უწოდონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეს აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალერსმა.

ეს განკარგულება აუქმებს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიის მართვის დროს გამოცემულ ინსტრუქციებს, რომელთა შესაბამისად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას არ უწოდებდნენ მის ოფიციალურ სახელს.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

● **კოსტა-რიკის** დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან უაღრესად პოზიტიურია, განაცხადა კოსტა-რიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გოსალო ფასიომ, მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო გაცვლის გაფართოებას დიდი მნიშვნელობა აქვს კოსტა-რიკისათვის, რამდენადაც მისი ქვეყანა სსრ კავშირს აწვდის ყავას და აპირებს შეიძინოს საბჭოთა მანქანები სოფლის მეურნეობისათვის.

● **დაიწყო** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა. დღის წესრიგშია სენეგალის რესპუბლიკის მთავრობის საჩივრის განხილვა იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება აგრესიული პროვოკაციული მოქმედება პორტუგალიის ჯარებისა, რომლებიც არღვევენ სენეგალის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

● **სენატორმა** თომას იგლტონმა (დემოკრატი, მისურის შტატი) მინესოტელ დემოკრატ სენატორთან უოლტერ მონდეილთან ერთად შეიტანა რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს პრეზიდენტ ნიქსონს სერიოზული ყურადღება დაუთმოს სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სამშვიდობო წინადადებებს.

● **ისრაელის** მმართველი წრეები ახორციელებენ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების ანექსიის პოლიტიკას. თავდაცვის სამინისტრომ წინადადება მისცა ისრაელის კომპანიებსა და საპროექტო ინსტიტუტებს შეიმუშაონ ოკუპირებული ღაზის „ეკონომიური განვითარების გეგმა“.

სერიოზული შეშფოთება

ტოკიო. 13 ივლისი. (საქდესი). იაპონია დათანხმდა ამერიკის შეერთებული შტატების მოთხოვნას კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი შეიარაღებული ძალები და გააქტიუროს თანამშრომლობა ამერიკის სააზიო პოლიტიკის განხორციელებაში.

ასეთი დასკვნა გამოაქვთ იაპონურ გაზეთებს, რომლებიც აჯამებენ ტოკიოში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მ. ლეირდის ვიზიტის შედეგებს.

გაზეთები კომენტარებში ყურადღებას უთმობენ დასავლეთის პრესაში დაბეჭდილ ცნობებს იმის შესახებ, რომ ამერიკის მინისტრი ტოკიოს მოლაპარაკებაზე ცდილობდა იაპონიისაგან მიეღო თანხმობა იმ ამოცანათა ნაწილის შესრულებაზე, რომლებსაც აზიაში ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატების არმია და მეშვიდე ფლოტი.

ამ ცნობებში, ხაზს უსვამენ გაზეთები, აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ მ. ლეირდმა იაპონიას წინადადებით მიმართა 1980 წლისათვის შექმნას საკუთარი ატომური პოტენციალი.

სატოს განცხადება

ტოკიო, 13 ივლისი. (საქდესი). იაპონიას უნდა ჰყავდეს საკმაოდ ძლიერი შეიარაღებული ძალები, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა სატომ.

სატომ თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის ლეირდის ვიზიტმა ხელი შეუწყო „ურთიერთგაგების გაღრმავებას“ ორ მხარეს შორის „თავდაცვის საკითხებში“.

ლეირდი სამხრეთ კორეაში

ფხენიანი. 13 ივლისი. (საქდესი). სამხრეთ კორეაში ჩასულმა ამერიკის თავდაცვის მინისტრმა მ. ლეირდმა მოლაპარაკება დაიწყო სეულის მარიონეტული რეჟიმის მეთაურებთან.

როგორც სამხრეთ კორეის ჰაპტონ თხონსინის სააგენტოს ცნობებიდან ჩანს, ამ მოლაპარაკებაზე, რომელსაც ვაშინგტონი ოფიციალურად უწოდებს „კორეა-ამერიკის პირველ ყოველწლიურ საკონსულტაციო კონფერენციას უშიშროების საკითხებზე“, განიხილავენ სეულისათვის ამერიკის სამხედრო დახმარების, სამხრეთ კორეის არმიის მოდერნიზაციისა და ხელახლა შეიარაღების დაჩქარების საკითხებს.

კოკისპირული წვიმები, წყალდიდობა

ჰავანა. 13 ივლისი. (საქდესი). კოლუმბიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არ წყდება კოკისპირული წვიმები, რამაც ძლიერი წყალდიდობა გამოიწვია. წყალდიდობის შედეგად დაიღუპა ათობით კაცი, ასობით ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ბევრი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.

განსაკუთრებით დაზიანდა ქალაქები პუერტო-ასისი, პუერტო-ლიმონი და ბარბაკოასი, სადაც საგანგებო წესები გამოცხადდა. ამას ბოგოტიდან იტყობინება პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტი. მიღებულია საგანგებო ღონისძიებანი დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

მაგრამ სამშენებლო რაზმებმა ყველა რაიონში როდი შეაღწიეს. კოლუმბიის უდიდესი მდინარე მაგდალენის ადიდებულმა ტალღებმა გზა გადაუღობეს მათ პუერტო-ასისისაკენ. ამ პატარა ქალაქის მცხოვრებთა ბედი გაურკვეველია.

ONE MILLION JOBS!
NO TRICKS
DECENT JOBS
UNION WAGES
JOBS UNION WAGES

კანადა. მძლავრი დემონსტრაციებით შეხვდნენ ქალაქ ჰამილტონის მშრომელები თავიანთი ქალაქის დაარსების 125 წლისთავს. დემონსტრანტთა მოთხოვნები ითვალისწინებდა სამ ძირითად პუნქტს: სამუშაოს უმუშევრებისათვის, შრომის საფასურის სამართლიან გადახდას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას.

სურათზე: დემონსტრანტები ქალაქ ჰამილტონის ქუჩებში.

სურათი გაზეთ „კანედიენ ტრიბუნიდან“.

ფრიადოსნები

დამთავრდა სასწავლო წელი. სოხუმის ჭავჭავაძის სახელობის მე-8 საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის ფართოდ გაიღო ახალი ცხოვრების კარი. მრავალი მათგანი, ვინც გუშინ მერხზე იჯდა, უმაღლესი სასწავლებლისა და ტექნიკუმის სტუდენტი გახდება.

25 წლის განმავლობაში ეს სკოლა ათასზე მეტმა ახალგაზრდამ დაამთავრა. მათგან 138-მა ოქროსა და ვერცხლის მედლები მიიღო. ესენი არიან ვლადიმერ მესხია — ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი, თამარ ჩერნიაევა — მშობლიური სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, ნელი ეშბა, — სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, ზოია ლაგუა — სოხუმის გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი...

წელს ოქროს მედლით დაამთავრეს სკოლა ვიქტორია ალპეტიანმა, ანა ფიდმანმა და ნათელა კრიხელმა (სურათზე მარცხნიდან მარჯვნივ). სამივე მეგობარმა ექიმად გახდომა გადაწყვიტა. ვიქტორია ერევნის სამედიცინო ინსტიტუტში აპირებს შესვლას, ანა — ლენინგრადის, ნათელა კი მოსკოვის ინსტიტუტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სპარტაკიადაზე

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

ფინალების დღე

მოსკოვი, 13 ივლისი. (ტელეფონით, „კომუნისტის“ სპეც. კორ.). მაშ ასე, სპარტაკიადაზე კალათბურთელთა დიდი ტურნირის ერთ-ერთი პასუხსაგები ეტაპი დამთავრდა. ამოიწურა წინასწარი შეხვედრები ქვეჯგუფებში, გამოვლინდნენ ფინალისტები. ზოგი კმაყოფილია სპორტული მიღწევებით, ზოგი კი განაწყენებულია, ერთნი მედლებსა და ქულებს მოელიან, მეორენი კი იძულებული არიან შეურიგდნენ ბედს და ბოლო ადგილის განაწილებისათვის აქვთ დავა. სიამაყით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ორივე გუნდი ფინალში მოხვდა. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ გასულ სპარტაკიადაზე ჩვენმა ქალთა გუნდმა მეათე ადგილი დაიკავა, ვაჟებმა კი მეშვიდე. დღეს კი, როგორც მინიმუმი, ჩვენთვის განკუთვნილია მეექვსე ადგილი. წინ ხომ ფინალური შეხვედრებია და, ვფიქრობთ, საქართველოს კალათბურთელები აქაც არ დათმობენ პოზიციებს.

რადგან ჩვენ აქ საუბარი გვაქვს საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდებზე, მოკლედ გვინდა მოგითხროთ მათ უკანასკნელ შეხვედრებზე, რომლებმაც გადაწყვიტეს უძლიერესთა ექვსეულში მოხვედრის საკითხი. მეტად რთული იყო ჩვენი ქალთა გუნდის მდგომარეობა. მისი ფინალში გასვლის საკითხი დამოკიდებული იყო ორ გარემოებაზე — სომხეთისა და ჩვენი უშუალო მეტოქის — ყაზახეთის გუნდების შეხვედრაზე და შემდეგ კი თვითონ მათს შეჯიბრებაზე ესტონეთის ძლიერ კოლექტივთან, რომელიც ფინალის კანდიდატად ითვლებოდა. მოხდა ისე, რომ სომხეთის გუნდმა, რომელმაც აქამდე სამი შეხვედრა წააგო ზედიზედ, ყაზახებთან თავისუფლად შეტევ სტილში ითამაშა და გაიმარჯვა 58:54. ამის შემდეგ საჭირო იყო ესტონელებთან მოგება, როგორი ანგარიშითაც არ უნდა ყოფილიყო ეს. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ეს მეტად პასუხსაგები ბრძოლა ჩინებულად ჩაატარეს, მოიგეს ტაიმი 29:24 და მატჩიც 60:50.

როგორ წარიმართა საქართველოსა და რსფსრ-ის ვაჟთა გუნდების შეხვედრა? ამ მატჩს ცოტა მაყურებელი როდი ჰყავდა. მათი უმრავლესობის სიმპათია საქართველოს კალათბურთელთა მხარეზე გადაიხარა. ეს გამოიწვია იმ ცეცხლოვანმა და ლამაზმა თამაშმა, რომელიც მათ აჩვენეს. აქ პირველ რიგში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საკანდელიძის ვირტუოზული ბრძოლა. კარგად თამაშობდნენ აგრეთვე ქორქია, გლურჯიძე და საერთოდ ყველანი, ვინც მოედანზე ვიხილეთ. მთელი თამაში ქართველ კალათბურთელებს მიჰყავდათ. მათ მოიგეს ტაიმი 43:36 — რსფსრ-ის გუნდი ძალთა მთელი მობილიზაციით იბრძოდა მეორე ნახევარში გარდატეხის შეტანისათვის, მართალია, მათ მეშვიდე წუთზე შეძლეს წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ეს იყო და ეს. აქვე საკანდელიძემ და ბიჭიაშვილმა ზედიზედ რვა ქულა მოუტანეს გუნდს. ამან ფაქტიურად გადაწყვიტა მატჩის ბედი, გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა 77:73.

გადავხედოთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: ქალთა გუნდები — ყირგიზეთი — ლენინგრადი 33:85, აზერბაიჯანი — ლიტვა 53:80, ბელორუსია — უზბეკეთი 56:48, მოლდავეთი — უკრაინა 71:77; ვაჟთა გუნდები: უზბეკეთი — ყირგიზეთი 74:58, თურქმენეთი — უკრაინა 48:80, აზერბაიჯანი — სომხეთი 68:76, ლიტვა — მოსკოვი 76:87, ბელორუსია — მოლდავეთი — 76:54, ლატვია — ესტონეთი 68:79.

ახლა გავეცნოთ ფინალისტებს, აგრეთვე იმათ, ვინც მეშვიდე-მეთორმეტე და მეცამეტე—მეთექვსმეტე ადგილებისათვის იბრძოლებს. ქალთა გუნდებიდან უძლიერესთა ექვსეულში მოხვდნენ ლატვიისა და საქართველოს, ლენინგრადისა და ლიტვის, რსფსრ-ისა და უკრაინის კალათბურთელთა კოლექტივები, ვაჟთა გუნდებიდან ფინალში გავიდნენ უკრაინისა და საქართველოს, მოსკოვისა და ლიტვის, ესტონეთისა და ბელორუსიის კალათბურთელები. ტურნირის მოულოდნელობას წარმოადგენდა მოსკოვისა და ესტონეთის ქალთა, აგრეთვე ლენინგრადისა და ლატვიის ვაჟთა გუნდების პირველი ფინალური ჯგუფის მიღმა დარჩენა.

როგორც წესი, ფინალისტებს დასკვნით ტურში შეჰყვებათ ერთმანეთთან შეხვედრის შედეგები. უკვე ასეთი ქულა აქვს ლატვიის, ლენინგრადისა და რსფსრ-ის ქალთა და უკრაინის, მოსკოვისა და ესტონეთის ვაჟთა გუნდებს.

როგორია საქართველოს გუნდებისათვის ფინალური შეხვედრების განრიგი? 13 ივლისს ერთმანეთს შეხვდებიან ლენინგრადისა და საქართველოს ქალთა და მოსკოვისა და საქართველოს ვაჟთა გუნდები; 14 ივლისს — ლიტვა-საქართველო (ქალთა), ლიტვა-საქართველო (ვაჟთა), 15 ივლისს კალათბურთელები ისვენებენ. 16 ივლისს — საქართველო-რსფსრ (ქალთა), საქართველო-ესტონეთი (ვაჟთა); 17 ივლისს — საქართველო-უკრაინა (ქალთა), საქართველო-ბელორუსია (ვაჟთა).

დღეს დაიწყო ფინალური შეხვედრები. საქართველოს ქალთა გუნდმა წააგო მატჩი ლენინგრადელებთან 63:90 (26:37), მოსკოვისა და ჩვენი რესპუბლიკის ვაჟთა გუნდების მატჩში გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 82:64.

გასული სპარტაკიადის ჩემპიონმა ლატვიის ქალთა გუნდმა ძნელ ასპარეზობაში დაამარცხა რსფსრ-ის ნაკრები — 70:69.

ვ. გაბელია.

ფეხბურთის ამბები

● **სსრ კავშირის** ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელებმა პირველი ამხანაგური მატჩი ქალაქ მალმეში ადგილობრივ კლუბთან, შვეციის შარშანდელ ჩემპიონთან, ფრედ — 2:2 (2:1) დაამთავრეს.

მასპინძელთა გუნდი გაძლიერებული იყო სხვა კლუბების რამდენიმე მოთამაშით. გარდა ამისა, ამ გუნდში გამოდიოდა სახელგანთქმული პორტუგალიელი ფეხბურთელი ეისებიო, რომლის მიწოდებით შვედებმა გაიტანეს პირველი ბურთი საბჭოთა ოლიმპიელების კარში, შემდეგ თვითონ ეისებიომ გაიტანა მეორე ბურთი და გაათანაბრა ანგარიში..

მალმეში საბჭოთა ოლიმპიელთაგან ბურთები გაიტანეს გუნდის დებიუტანტებმა ვოროშილოვგრადელმა ჟურავლიოვმა და მოსკოველმა კოჟემიაკინმა.

ოლიმპიური ნაკრები გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: კუდასოვი, სერონტანოვი, ჟურავლიოვი, ხუდიევი, ჭოხონელიძე, ზანაზანიანი, ტროშკინი, ანდრეასიანი, ეშტრეკოვი (ვასილიევი), კოჟემიაკინი (გონჩაროვი), კოზინკევიჩი.

შემდეგ მატჩს საბჭოთა ფეხბურთელები გამართავენ 14 ივლისს გეტებორგში.

● **გაზეთ** „კომსომოლეც ტაჯიკისტანას“ რედაქციამ დააწესა სპეციალური პრიზი „პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირისათვის“, რომელიც დაამტკიცა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ. პრიზს სეზონის ბოლოს მიანიჭებენ მოთამაშეს, რომელსაც ყველაზე მეტი ბურთი ექნება გატანილი პირველი ჯგუფის ჩემპიონატში.

● **მიუნხენის** მომავალი 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ თამაშები გაიმართება ათ სტადიონზე, რომლებიც საერთო ანგარიშით 735 ათას მაყურებელს დაიტევენ. შესარჩევი თამაშების წილისყრა, როგორც ვიუწყებოდით, გაიმართება დიუსელდორფში 17 ივლისს.

● **გაიმართა** მეორე ჯგუფის გუნდების მორიგი მატჩები. რუსთავის მეტალურგმა დაამარცხა ვლადიმირის „მოტორი“ 3:1, გორის „დილამ“ — ნოვომოსკოვსკის „ხიმიკი“ — 3:1, ფოთის „კოლხიდამ“ — რიბინსკის „სატურნი“ — 2:0, მახარაძის „მერცხალმა“ — კოსტრომის „სპარტაკი“ — 1:0, სოხუმისა და ბათუმის დინამოელთა შეხვედრა უშედეგოდ 0:0 დამთავრდა.

პრეტენდენტთა მატჩებზე

მოსკოვი

გუშინ მოსკოვში ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტ. პეტროსიანისა და ვ. კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის მეხუთე პარტია. პირველი სვლა ამჯერად მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გააკეთა. საფიქრებელი იყო, რომ ოთხი ყაიმის შემდეგ მეტოქეები ბოლოსდაბოლოს გაამწვავებდნენ ბრძოლას. მოხდა პირიქით, 15 სვლის შემდეგ პრეტენდენტები ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის ანგარიში გახდა 2,5:2,5.

დენვერი

დენვერის მატჩში, როგორც ცნობილია, ანგარიში ამერიკელ გროსმაისტერს რობერტ ფიშერს მიჰყავს — 3:0. გუშინ გათამაშების გრაფიკით მეოთხე პარტიის დღე იყო. თეთრებით თამაში ბენტ ლარსენს უწევდა.

ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება გაეცნონ დენვერში გათამაშებულ სამივე პარტიას.

აი ისინიც:

პირველი პარტია

რ. ფიშერი — ბ. ლარსენი

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 კb4 4. e5 მe7 5. a3 კ:c3+ 6. bc c5 7. a4 მbc6 8. მf3 კd7 9. კd3 ლc7 10. 0—0 c4 11. კe2 f6 12. ლe1 მg6 13. კa3 fe 14. de მc:e5 15. მ:e5 მ:e5 16. ლd4 მg6 17. კh5 მფf7 18. f4 ეhe8 19. f5 ef 20. ლ:d5+ მფf6 21. კf3 მe5 22. ლd4 მფg6 23. ე:e5 ლ:e5 24. ლ:d7 ეad8 25. ლ:b7 ლe3+ 26. მფf1 ეd2 27. ლc6+ ეe6 28. კc5 ეf2+ 29. მფg1 ე:g2+ 30. მფ:g2 ლd2+ 31. მფ h1 ე:c6 32. კ:c6 ლ:c3 33. ეg1+ მფf6 34. კ:a7 f4 35. კb6 ლ:c2 36. a5 ლb2 37. კd8+ მფe6 38. a6 ლa3 39. კb7 ლc5 40. ეb1 c3 41. კb6. **შავები დანებდნენ.**

მეორე პარტია

ბ. ლარსენი — რ. ფიშერი

სიცილიური დაცვა

1. c4 c5 2. მf3 g6 3. d4 cd 4. მ:d4 მc6 5. e4 მf6 6. მc3 d6 7. კe2 მ:d4 8. ლ:d4 კg7 9. კg5 h6 10. კe3 0—0 11. ლd2 მფh7 12. 0—0 კe6 13. f4 ეc8 14. b3 ლa5 15. a3 a6 16. f5 კd7 17. b4 ლe5 18. ეae1 კc6 19. კf4 მ:e4 20. მ:e4 ლ:e4 21. კd3 ლd4+ 22. მფh1 ეce8 23. კe3 ლc3 24. კ:h6 ლ:d2 25. კ:d2 კe5 26. კf4 კ:f4 27. ე:f4 gf 28. ე:f5 მფg7 29. ეg5+მფh6 30. h4 e6 31. ეf1 f5 32. ეb1 ეf7 33. b5 ab 34. cb კd7 35. g4 ეa8 36. gf ef 37. კc4 ეa4 38. ეc1 კ:b5 39. კ:f7 ე:h4+ 40. მფg2 მფ:g5 41. კd5 კa6 42. ეd1 ეa4 43. კf3 ე:a3 44. ე:d6 ეa2+ 45. მფg1 მფf4 46. კg2 ეb2 47. ეd7 b6 48. ეd8 კe2 49. კh3 კg4 50. კf1 კf3 51. ეb8 კe4 52. კa6 მფe3 53. ეc8 ეb1+ 54. მფh2 მფf4. **თეთრები დანებდნენ.**

მესამე პარტია

რ. ფიშერი — ბ. ლარსენი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 მc6 6. კc4 e6 7. კb3 კe7 8. კe3 0—0 9. f4 კd7 10. 0—0 a6 11. f5 ლc8 12. fe კ:e6 13. მ:e6 fe 14. მa4 ეb8 15. მb6 ლe8 16. კ:e6+მფh8 17. კf5 მe5 18. ლd4 ლh5 19. მd5 მ:d5 20. ლ:d5 ლe2 21. კa7 ეe8 22. ეf2 ლb5 23. c3 კh4 24. g3 ლ:d5 25. ed კf6 26. ეaf1 მc4 27. კe6 ეa8 28. კd4 კ:d4 29. cd ე:f2 30. ე:f2 b5 31. მფf1 g6 32. b3 მa3 33. მფe2 ეa7 34. ეf8+მფg7 35. ეd8 b4 36. ე:d6 მb5 37. ეb6 მd4+38. მფd3 მ:e6 39. ე:e6 a5 40. მფd4 მფf7 41. ეe2. **შავები დანებდნენ.**

„ოქროს ხმლები“, „ოქროს დაშნა“

ვენა. „შტადჰალეს“ დარბაზში გათამაშდა მედლების კიდევ ორი კომპლექტი მოფარიკავეთა მსოფლიო ასპარეზობაზე. საბჭოთა ხმლით მოფარიკავეებმა კვირას გუნდური ტურნირის ფინალში დაამარცხეს უნგრელი სპორტსმენები 9:7 და ოქროს მედლები მოიპოვეს.

მანამდე კი ფარიკაობის ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევა მოხდა. როცა ფინალურ ჯგუფში ასპარეზობდნენ მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონი გალინა გოროხოვა (სსრ კავშირი) და ანა პასკუ (რუმინეთი) ანგარიში გახდა 3:3 და ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა კიდევ ერთ ჩხვლეტას. ამ დროს ტექნიკურმა დირექტორატმა (ხელმძღვანელი ფრანგი რენე ნერსი) შეჯიბრებიდან მოხსნა ჩვენი მოფარიკავე — მას დააბრალეს სპორტულად არ იბრძოდაო.

მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ფრანგი მარია დემეი, რომელსაც ადრე წაგებული ჰქონდა გოროხოვასთან. ვერცხლის პრიზიორი გახდა უნგრელი ილდიკო რეიტო, ბრინჯაოსი — ანა პასკუ.

ასპარეზობა დაამთავრეს აგრეთვე დაშნით მოფარიკავეებმა. მსოფლიოს ჩემპიონობა და ოქროს მედალი მოიპოვა კიეველმა სპორტსმენმა გრიგოლ კრისმა. მეორე საბჭოთა მოფარიკავემ ვორონეჟელმა ვიქტორ მოძალევსკიმ მეხუთე ადგილი დაიკავა.

რამდენიმე სტრიქონით

● **მოსკოვში** გაიმართა საერთაშორისო ასპარეზობა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალში მხტომელთა შორის. პირველ დღეს სტუმარმა ვაჟებმა გაიმარჯვეს ტრამპლინზე, ხოლო ქალებმა კოშკიდან ხტომაში. გერმანელი სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ მეორე დღესაც — ტრამპლინზე ქალებს შორის გაიმარჯვა 16 წლის ჰაიდა ბეკერმა, ხოლო ვაჟთა შორის კოშკიდან ხტომაში ფალკ ჰოფმანმა.

● **გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ შტუტგარტში ქვეყნის პირველობაზე გამართულ მძლეოსანთა ჩემპიონატზე სპორტსმენმა ქალმა ჰილდეგარდ ფალკმა 800 მეტრი გაირბინა 1 წუთსა და 58,3 წამში, რაც აღემატება სამი წლის წინათ იუგოსლაველი ვერა ნიკოლიჩის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს (2.00,5).

● **ბალკანეთის** ქვეყნების ახალი რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე რბენაში ათენის საერთაშორისო შეჯიბრებაზე ათენელმა სტუდენტმა მედიკმა ვასილის პაპაგეორგოპულოსმა — 10,1 წამი.

სტუდენტები „ხუთიანზე“ გამოდიან

სსრ კავშირის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი ლიდერობს სტუდენტთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ხუთი ტურის შემდეგ. მას აქვს 18,5 ქულა ოც შესაძლებელში. პირველი ოთხი მატჩი საბჭოთა ნაკრებმა მოიგო მაქსიმალური ანგარიშით 4:0. მან დაამარცხა ბრაზილიის, ისრაელის, კანადისა და ისლანდიის გუნდები. მეხუთეში კი უკვე გაიმარჯვა ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან — 2,5:0,5 (ერთი პარტია პოდგაეცსა და დე ფოტის შორის გადაიდო საბჭოთა მოჭადრაკის უპირატესობით). ამრიგად, საბჭოთა გუნდს შეიძლება შემატოს კიდევ ერთი ქულა.

დანარჩენმა გუნდებმა ჯერჯერობით შემდეგი ქულები მოაგროვეს: კანადამ — 15,5, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 13,5, ისრაელმა — 12,5, ისლანდიამ — 11, ბრაზილიამ — 8, ავსტრიამ — 7, პუერტო-რიკომ — 5, კოლუმბიამ — 4 ქულა.

განსაკუთრებით კარგად თამაშობს პუერტო-რიკოს ქალაქ მაიაგუესში მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ახალგაზრდა ლენინგრადელი გროსმაისტერი ანატოლი კარპოვი: მან უკვე ექვსი შეხვედრა მოიგო. (საქდესი).

ასპარეზობენ სპიდვეისტები

როსტოკში (გდრ) მოტომრბოლთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, რომელიც დაკავშირებული იყო ბალტიის ზღვის ტრადიციულ კვირეულთან, სპიდვეისტთა ასპარეზობა მოიგო ლენინგრადელმა ვლადიმერ სმირნოვმა — 13,5 ქულა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ოსტატი შპინკა.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო უღრმეს მადლობას უხდის რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებს, აგრეთვე ცალკეულ პიროვნებებს, რომლებმაც მოგვილოცეს საქართველოს საბჭოთა მილიციის 50 წლისთავი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.

„კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

14 ივლისი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინოპროგრამა, 11.50 — მხატვრული ფილმი — „საფრენი ზოლი“, 13.00 — საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ხალხთა მეხუთე სპარტაკიადა (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — ახალი ამბები, 17.50 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა კონცერტი, 18.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „აზროვნებენ თუ არა ცხოველები?“, 19.40 — „აჭარის მწერლების შემოქმედება“, 20.30 — საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ხალხთა მეხუთე სპარტაკიადა. კალათბურთი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „დავიცვათ თევზის მარაგი“, 22.15 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.40 — „ფორსაიტების საგა“. ინგლისური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი — პრემიერა (VI-VII სერია).

მეორე პროგრამით

19.00 — დოკუმენტური ფილმი — „მესამე რაიხის ისტორია“, 20.30 — მხატვრული ფილმი — „ფარი და მახვილი“ (მესამე სერია).

15 ივლისი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — დოკუმენტური ფილმი — „მოგონება დიდ დარბაზზე“, 12.30 — მხატვრული ფილმი — „შფოთვა“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „სუვოროვი“, 19.35 — ახალგაზრდობისათვის „ამბავი ერთი სიჭაბუკისა“, 19.50 — „მსოფლიო დღეს“, 20.10 — მხატვრული კოლექტივების სატელევიზიო რესპუბლიკური ფესტივალი. აჭარის ზონა, 20.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — „დეპუტატი და ცხოვრება“, 21.30 — „სტარტზეა სპარტაკიადა“, 21.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. 1. ციკლიდან „მსოფლიოს მუზეუმებში“, 2. მხატვრული ფილმი „შორს, დასავლეთით“.

მეორე პროგრამით

19.00 — სატელევიზიო ფილმი — „შვილთან“, 19.40 — მხატვრული ფილმი, — „ფარი და მახვილი“ (მეოთხე სერია), 20.45 — ო. იოსელიანი „სანამ ურემი გადაბრუნდება“, სამხრეთ ოსეთის რუსული დრამატული თეატრის სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-08-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-30, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66143
უე 07190
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.